

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY



საერთაშორისო კონფერენცია

მიგრაცია, ენა და კულტურული
მეხსიერების დინამიკა

International Conference

**MIGRATION, LANGUAGE AND DYNAMICS
OF CULTURAL MEMORY**

პროგრამა | AGENDA

თეზისები | ABSTRACTS

თბილისი – 2024 – Tbilisi



ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი

Goethe-Universität Frankfurt am Main



უმცირესობათა კვლევები: ენა და იდენტობა

LOEWE-Minderheitenstudien: Sprache und Identität



პროექტი / Project:

ენა და კულტურული მეხსიერების დინამიკა XX
საუკუნის საქართველოს შიდა მიგრაციების
კონტექსტში [FR-21-336]

Language and Dynamics of Cultural Memory under
Migration Conditions in XX century Georgia [FR-21-
336]

კონფერენციის პროგრამა
Agenda

02.03.2024	
10:00 – 10:15	კონფერენციის გახსნა / Opening
10:15 – 10:30	პროექტის პრეზენტაცია / Project Presentation
10:30 – 12:30	პლენარული სესია / Plenary Session
12:30 – 13:00	შესვენება, ყავა / Break
13:00 – 14:00	I სესია / 1 st Session
14:00 – 15:00	II სესია / 2 nd Session
15:00 – 15:40	შესვენება, სადილი / Break
15:40 – 17:40	III სესია / 3 rd Session
17:40 – 18:00	კონფერენციის დახურვა / Closing the conference

რეგლამენტი / Time Limit

პლენარული სესია / Plenary Session	
მომხსენებელი / Keynote speaker	20 წუთი / 20 minutes
დისკუსია / Discussion	10 წუთი / 10 minutes
სესია	
მომხსენება / Presentation	15 წუთი / 15 minutes
კითხვები	5 წუთი / 5 minutes
პროექტის პრეზენტაციები	
პრეზენტაცია / Presentation	50 წუთი / 50 minutes
კითხვები / Questions	10 წუთი / 10 minutes

2 მარტი, 2024 / 2 March, 2024

10:00 – 10:15 მისალმებები:

ნანა მაჭავარიანი / Nana Machavariani

თსუ არნ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის
დირექტორი / Director at Arnold Chikobava Institute of
Linguistics at TSU

მარინა ბერიძე / Marina Beridze

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი / TSU Arnold Chikobava Institute of
Linguistics

10:15 – 10:30 პროექტის პრეზენტაცია / Project Presentation

მარინა ბერიძე / Marina Beridze

ლია ბაკურაძე / Lia bakuradze

ზაქარია ფურცხვანიძე / Zakharia Pourtskhvanidze

ენა და კულტურული მეხსიერების დინამიკა XX
საუკუნის საქართველოს შიდა მიგრაციების
კონტექსტში /

Language and Dynamics of Cultural Memory under
Migration Conditions in XX century Georgia

10:30 – 12:30 პლენარული სესია / Plenary Session

თავმჯდომარე: მერაბ ჩუხუა

Chair: Merab Chukhua

10:30 – 11:00 როლანდ თოფჩიშვილი / Roland Topchishvili

შიდა მიგრაციული პროცესები საქართველოში და
მათი ეთნოკულტურული და ენობრივი ასპექტები
Internal Migration Processes in Georgia and the
Related Ethnocultural and Linguistic Aspects

- 11:00 – 11:30** **მერაბ ჩუხუა / Merab Chukhua**
ზოგი კულტურული ტერმინის მიგრაციათა
მიმართულებისთვის
For the Direction of some of the Cultural Term
Migrations
- 11:30 – 12:00** **ნათია ჯალაბაძე /Natia Jalabadze**
აკულტურაცია და კულტურის კოდების
გადართვა მულტიეთნიკურ საზოგადოებაში
Acculturation and Culture Code-Switching in a
Multiethnic Society
- 12:00 – 12:30** **ალექსანდრე გავაშელიშვილი**
Alexander Gavashelishvili
მერაბ ჩუხუა / Merab Chukhua
სამხრეთკავკასიური ენების წარმოშობის დრო და
ადგილი
The Time and Place of Origin of South Caucasian
Languages
- 12:30 – 13:00** შესვენება, ყავა / Break
აუდიტორია 201ა / Room 201a
- 13:00 – 14:00** I სესია / 1st Session
თავმჯდომარე: ნინო შარაშენიძე
Chair: Nino Sharashenidze
- 13:00 – 13:20** **ასია დარბინიანი /Asia Darbinyan**
სომხური ენის თბილისური დიალექტი
(გაბრიელ სუნდუკიანის პიესების მიხედვით)

Tbilisi dialect of the Armenian language (based on Gabriel Sundukyan's plays)

13:20 – 13:40 ზაქარია ფურცხვანიძე / Zakharia Pourtskhvanidze

ლევენშტაინის ალგორითმი მიგრაციებისა და ენობრივი ლანდშაფტების კონტექსტში
Levenshtein algorithm in the context of changing linguistic landscapes due to Migrations

13:40 – 14:00 ლაშა შაკულაშვილი / Lasha Shakulashvili

საქართველოს ებრაელთა ლინგვისტური მოზაიკა და „ვეფხისტყაოსანი“ იდიშურ ენაზე.
Yiddish “Vepkhistkaosani” and Georgia’s Jewry’s linguistic mosaic

**14:00 – 15:00 II სესია - პრეზენტაციები
2nd Session – Presentations**

თავმჯდომარე: გიული შაბაშვილი
Chair: Giuli Shabashvili

დიანა ანფიმიადი

დიალექტი და მიგრაცია (იმერული და რაჭული დიალექტები ქვემო ქართლში)

Dialect and Migration (Imeretian and Rachvelian Dialects in Kvemo Kartli)

მაკა თეთრაძე / Maka Tetradze

მაია ზარიხაშვილი / Maia Barikhashvili

ინგილოური დიალექტი საქართველოში მიგრაციის კონტექსტში

Ingilo Georgian in the Context of Migration

ლია ბაკურაძე / Lia Bakuradze
მარინა ბერიძე / Marina Beridze
ზაქარია ფურცხვანიძე /Zakharía Pourtskhvanidze
მიგრაცია და ქართული დიალექტების ახალი
გეოგრაფია
Migration and the New Geography of Georgian
Dialects

მარინა ბერიძე / Marina Beridze
ნინო შარაშენიძე / Nino Sharashenidze
ზაქარია ფურცხვანიძე /Zakharía Pourtskhvanidze
მიგრაციის სოციოლინგვისტური კონტურები
Sociolinguistic Outlines of Internal Migration in
Georgia

ელენე ნაპირელი / Elene Napireli
მიგრაცია ლაგოდეხში – რამდენიმე ეპიზოდი ქარ-
თული პრესის მიხედვით
Migration in Lagodekhi - Several episodes from the
perspective of the Georgian press

15:00 – 15:40 შესვენება, სადილი / Break

15:40 – 18:00 III სესია / 3rd Session
თავმჯდომარე: ნინო პოპიაშვილი
Chair: Nino Popiashvili

15:40 – 16:00 გიული შაბაშვილი / Giuli Shabashvili
ქართველი ემიგრანტების ენობრივი და
კულტურული ქცევა (ნიდერლანდებში ქართული
დიასპორის შემთხვევის ანალიზი)

Linguistic and Cultural Behavior of Georgian
Emigrants (Case Study of Georgian Emigrants in the
Netherlands)

- 16:00 – 16:20** **ნატო შავრეშიანი / Nato Shavreshiani**
მედეა საღლიანი / Medea Saghlani
მიგრაციის ენობრივი შედეგები ეკომიგრანტ
სვანთა მეტყველებაში
Linguistic consequences of migration in the speech of
ecomigrant Svans
- 16:20 – 16:40** **თამთა მელაშვილი / Tamta Melashvili**
მეხსიერება, ენა და ზეპირი ისტორიები
საქართველოს გერმანულ დასახლებებში
Memory, Language and Oral Histories in German
Settlements of Georgia
- 17:00 – 17:20** **ნინო პოპიაშვილი / Nino Popiashvili**
მიგრაციის ლიტერატურული პარადიგმა: ქალი
ავტორების გამოცდილება
The Literary Paradigm of Migration: The Experience
of Female Authors
- 17:20 – 17:40** **გიორგი ჭეიშვილი / Giorgi Cheishvili**
ორი სახელის მქონე ადგილები: ორენოვანი
ქართულ-თურქული ტოპონიმია თურქეთის
ართვინის პროვინციაში
Places with Two Names: Bilingual Place Names in the
Artvin Province of Turkey
- 17:40 – 18:00** **კონფერენციის დახურვა**

დიანა ანფიმიადი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დიალექტი და მიგრაცია¹

(იმერული და რაჭული დიალექტები ქვემო ქართლში)

ქვემო ქართლი საქართველოს ეთნიკურად ყველაზე პოლიფონიური მხარეა, სადაც მრავალფეროვანია როგორც შიდა, ასევე გარემიგრაციული ლანდშაფტი. ორივე ამ მიგრაციული მოდელისთვის სხვადასხვა ეტაპის ისტორიული კონტექსტის გააზრებაა საჭირო, ომი, ეკოლოგია, პოლიტიკური წყობილება – ეს ის მთავარი ცვლილებებია, რომელთაც მიგრაციული პროცესები განაპირობებს.

ქვემო ქართლის ლინგვისტური ლანდშაფტი მულტილინგვიზმისა და *მულტიდიალექტიზმის* პირობებში, ენებისა და დიალექტების კონტაქტების, სესხებისა და ურთიერთგავლენების ფონზე ჩამოყალიბდა. მრავალფეროვანი მიგრაციული პროცესები, რასაკვირველია, განაპირობებდა და განაპირობებს მდიდარი ლინგვისტური ეკოლოგიის შექმნას, რომელიც საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნების საერთო სურათის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ქართული ენის გარდა, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული (თურქულის *წალკური* დიალექტის კილოკავები), ბერძნული (ბერძნული ენის *პონტოური* დიალექტის კილოკავები), რუსული, გერმანული, ქურთული, არამეული, უკრაინული, ბოშური ენები თანაარსებობდნენ. ისტორიული ცვლილებების ფონზე ზოგიერთი ენა საქართველოს ენობრივ სინამდვილეში აღარ არსებობს, თუმცა ტოპონიმიკასა და ლექსიკაში მისი კვალი კვლავაც მოიძებნება.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-21-336].

ლინგვისტური მრავალფეროვნების გარდა ქვემო ქართლში მდიდარი დიალექტოლოგიური სურათიცაა წარმოდგენილი. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეს რეგიონი შიდამიგრაციული პროცესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო, ეს დინამიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში.

თითქმის გაუკაცრიელებულ ქვემო ქართლში სხვადასხვა დროს აღმოსავლეთ მთიანეთიდან, შიდა ქართლიდან, იმერეთიდან, რაჭიდან, აჭარიდან, სვანეთიდან მრავალი მიგრაციული ცვლილება განხორციელდა, რამაც ამ მხარის დიალექტური მრავალფეროვნება გამოიწვია. ზოგიერთი დიალექტი ადგილობრივ ქართულ მეტყველებასთან ადაპტირდა და მხოლოდ ფრაგმენტულად დარჩა, ზოგიერთი კი დღესაც ცოცხალია და მეტყველების სხვადასხვა საფეხურზე ავლენს თავისებურებას.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში რეგიონში რამდენიმე მიგრაცია განხორციელდა დასავლეთ საქართველოდან, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, კარგად დაგეგმილი იყო ყოფილ გერმანულ კოლონიებში იმერეთისა და რაჭის სხვადასხვა სოფლებიდან მოსახლეობის გადმოსახლება.

გადმოსახლების მთავარი მიზეზი გერმანელებისგან დაცლილი სოფლების ქართული მოსახლეობით დაკომპლექტება იყო, მით უფრო, მულტინაციონალური რეგიონის პირობებში. მცირემიწიანი იმერეთისა და რაჭის მოსახლეობას ნაყოფიერი სავარგულების პერსპექტივა ცხოვრების გაუმჯობესების პირობად წარმოედგინა, მითუმეტეს, ეს მიგრაციული პროცესები სააგიტაციო პროპაგანდითა და მრავალფეროვანი დაპირებებით იყო შეზავებული.

მიგრაციების შედეგად შეცვლილი დიალექტური სურათი, დიალექტების კონტაქტები, განვითარება, ცვლილება განსაკუთრებით ხასიათდება სოციოლინგვისტური პროფილით. ხშირად, ლინგვისტურ ცვლილებებს სწორედ სოციოლინგვისტური ფაქტორები განაპირობებს. განსხვავებით გეოგრაფიული მიზეზებით შეპირობებული დიალექტოლოგიური პროცესებისგან, მიგრირე-

ბული დიალექტების ცვლილება უფრო ინტენსიურია და მრავალი პირობა და დეტალი განასხვავებს.

ქვემო ქართლში მიგრირებულ იმერულ და რაჭულ დიალექტებს სხვადასხვაგვარი ნიადაგი, პირობები დახვდათ. ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, გერმანელებისგან დაცლილ სოფლებში, ქართლური დიალექტის ქვემოქართლურ მეტყველებასთან კონტაქტის პირობა არ არსებობდა, ზოგიერთ სოფელში ამ დიალექტებს სხვა ენების (აზერბაიჯანული, სომხური) გარემოცვაში უწევდათ განვითარება, რაც *თვითგამიჯვნისა* და თვითმენარჩუნების მიზნით სალიტერატურო ქართულთან ინტენსიურ კავშირსა და იდენტიფიცირებას განაპირობებდა. ზოგიერთ გეოგრაფიულ წერტილში კი იმერულისა და ქვემოქართლურის კონტაქტის პირობები შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ იმერული და ქართლური დიალექტები ისტორიულადაც მეზობლობენ (მაგ. ბორჯომის ხეობის ქართლური), საინტერესო იყო, დიალექტთა კონტაქტების შედეგად გაჩენილ ცვლილებებს თუ *თვითგამიჯვნის* ტენდენციას რამდენად განასხვავებდა ისტორიული მეზობლობა და ახალი, მიგრაციის შედეგად გაჩენილი „*ახალმეზობლობის*“ პირობები.

კვლევისათვის სხვადასხვა დროს (მათ შორის, ველზე) ჩაწერილი ტექსტური და ვიდეომასალის გარდა, განვიხილეთ სხვადასხვა ინტერნეტპლატფორმებზე განთავსებული ვიდეო, ხმოვანი თუ ტექსტური მასალა, რომელმაც, როგორც *ქვემოქართლის* რეგიონში რაჭული, ისე იმერული და ქართლური დიალექტების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ საინტერესო ლინგვისტური ფაქტორების დაფიქსირების საშუალება მოგვცა.

Diana Anphimiadi

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

Dialect and Migration

(Imeretian and Rachvelian Dialect data based
on Kvemo Kartli example)

Kvemo Kartli stands as Georgia's most ethnically polyphonic region, characterized with diverse internal, as well as external immigration landscape patterns. Comprehending the historical context of various stages marked by factors such as war, ecological dynamics and political structures-the primary reasons underlying migratory phenomena, is vital for elucidating both models of migration.

The linguistic landscape of Kvemo Kartli was formed within the scope of multilingualism and multidialectism against the backdrop of interactions, borrowings and reciprocal influence of languages and dialects. Indeed, these diverse migratory processes have led and still lead the creation of the rich linguistic ecosystem, consisting a vital part of the overall framework of the linguistic diversity of Georgia.

On Kvemo Kartli territory alongside the Georgian language, a mosaic of linguistic diversity prevailed at different points in time, including Armenian, Azerbaijani, Turkish (specifically the sub-dialect of the Tsalkuri dialect of Turkish), Greek (represented by the sub-dialects of the Ponto dialect), Russian, German, Kurdish, Aramaic, Ukrainian and Gypsy languages. Due to historical changes, some languages have ceased to exist in the linguistic landscape of modern Georgia, nonetheless, traces of their influence can still be found in toponymy and vocabulary.

Beyond its linguistic diversity, Kvemo Kartli also exhibits a vibrant dialectological panorama. Across various stages of history, this region was one of the most crucial hubs for internal migration processes; this dynamic became particularly relevant in the nineteenth and twentieth centuries.

Within the almost depopulated Kvemo Kartli, a series of migration changes took place from Eastern Mtianeti, Shida Kartli, Imereti, Racha, Adjara, Svaneti at different times, that in turn led to dialectical diversity within this region. Certain dialects were adapted to the local Georgian and remained in only fragmented remnants, while others still persist today and exhibit their peculiarities at various levels of speech.

Several migrations originated from Western Georgia into the region during the second half of the 20th century. One of the largest and well-coordinated migrations entailed relocation of the population from various villages of Imereti and Racha into the former German colonies.

The main reason behind migration was to repopulate villages vacated by Germans with Georgian population, even more so, within the context of a multinational region. The small-land population of Imereti and Racha perceived the prospect of fertile lands as a pivotal condition for improving their livelihoods, moreover, these migration processes were intertwined with propaganda and various promises.

The dialectical landscape change caused by migrations, interactions among dialects and their development are characterized by sociolinguistic profile. Linguistic changes are often caused by sociolinguistic factors. In contrast to dialectological processes caused by geographical factors, transformation of the migrated dialects tends to be more intense marked by distinct conditions and nuances.

Imeretian and Rachvelian dialects, upon migrating to Kvemo Kartli, encountered different conditions. In certain regions such as villages devoid of Germans, there was no environment for the interaction of Kartluri dialect with Kvemo Kartli speech. In some villages these dialects underwent development surrounded by other languages (Azerbaijani, Armenian), fostering an intense connection and identification with literary Georgian as a means of distinct self-identification and self-preservation. In some geographical locations, contact conditions between Imeretian and Kvemo Kartlian dialects were facilitated. It is worth noting that, historically, Imeretian and Kartlian are neighboring dialects (e.g. Kartlian of the Borjomi Valley).

Diving deep into the contrasts between historical and new neighborhood conditions emerging from migration, provides us with interesting insights into the changes and tendency for distinct self-identification resulting from dialect interaction.

In addition to the text and video material documented at different times (including field recordings), our research included a comprehensive review of video, audio and text material available on various internet platforms, which in turn, enabled the identification of noteworthy linguistic factors concerning the modern state of Rachvelian, Imeretian and Kartlian dialects in the Kvemo Kartli region.

ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ზაქარია ფურცხვანიძე

ემპირიული ენათმეცნიერების ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი

შიდა მიგრაციები და ქართული დიალექტების ახალი გეოგრაფია¹

მოხსენებაში განხილულია შიდა მიგრაციების გავლენა საქართველოს ლინგვისტურ რუკაზე. კვლევა ასახავს ბოლო 150 წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე შიდამიგრაციულ პროცესებს, რომლებმაც ძირეულად შეცვალა ქვეყნის დიალექტური სურათი – ქართული დიალექტების გეოგრაფიული განფენილობა და მათი სტატუსი. ტრადიციული ეთნიკური და ენობრივი ჯგუფების ერთი ნაწილი ჩამოშორდა გეოგრაფიულად ფიქსირებულ ტერიტორიას და გადანაწილდა ქვეყნის შიგნით,

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-21-336].

ამან შექმნა სრულიად ახალი სურათი როგორც დიალექტთა გეოგრაფიის, ასევე დიალექტთა კონტაქტების თვალსაზრისით.

ქართული ენის დიალექტური სივრცე და მისი განაწილება ყოველთვის დაკავშირებული იყო ქვეყნის ეთნოგრაფიულ (კუთხურ) დაყოფასთან. ქართული დიალექტების გამოყოფის საფუძველია ეთნოკულტურული, ლინგვისტური და ტერიტორიული საზღვრები. ამდენად, ქართულის ეთნოგრაფიული და ლინგვისტური (დიალექტების გავრცელების) რუკები ტრადიციულად თითქმის იდენტურია.

თუმცა ეს „ჰარმონიული“ იდენტურობა მოჩვენებითია და რეალობას არ შეესაბამება.

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსულმა ანექსიამ მკვეთრად შეცვალა საქართველოს დემოგრაფიული სურათი. ათეულობით მიგრაციული ტალღის შედეგად საქართველოს ენობრივი (დიალექტური) რუკა საფუძვლიანად შეიცვალა.

რუსული კოლონიზაციის პოლიტიკა გულისხმობდა საქართველოში როგორც რუსების, ისე სხვა ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლებას. დროთა განმავლობაში შეიქმნა სომხების, ბერძნების, პოლონელების, გერმანელების, უკრაინელების, ლიტველების, ქურთების და ავარების სხვათა კომპაქტური დასახლებები. ეს პროცესები ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებისა და განდევნის ხარჯზე ხდებოდა.

დემოგრაფიული ანექსიის რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო მოძრაობა, რომელიც დაცარიელებული ტერიტორიების ქართველი მოსახლეობის შევსებას ისახავდა მიზნად და რომელსაც „შიდა კოლონიზაცია“ შეიძლება დავარქვათ. ხოლო 1907 წელს საადგილმამულო ბანკთან შეიქმნა „ქონებისა და მიწის კომისია“, რომელიც ბანკის მოგებას საქართველოს მხარეთა დემოგრაფიული აღდგენისთვის მიმართავდა. ამ კომისიის შექმნა იყო ქვეყნის დემოგრაფიულ ანექსიაზე საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის ერთგვარი ერთობლივი რეაქცია. მართალია, მან ვერ შეძლო დამანგრეველი შედეგების სრულად კომპენსირება, მაგრამ საგრძნობლად გააუმჯობესა

მდგომარეობა და საქართველოს ბევრი რეგიონი დემოგრაფიულ კატასტროფას გადაარჩინა.

პირველი რესპუბლიკის მმართველობის წლებში (1918-1921 წწ.) დემოგრაფიული ანექსიის წინააღმდეგ მიმართული მიგრაციული პოლიტიკა გაგრძელდა. ამ პოლიტიკის შორსმიმავალი შედეგები დღეს ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, რომლებიც ენობრივად რამდენიმე დიალექტური კუნძულის „კონგლომერატს“ წარმოადგენენ.

რუსული კოლონიალიზმის მიერ შექმნილმა დემოგრაფიულმა მდგომარეობამ საშუალება მისცა ბოლშევიკ მმართველებს 1921 წლიდან გაეგრძელებინათ საკუთარი გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელება კავკასიაში. ამ სტრატეგიის შედეგი იყო საქართველოს მთელი კუთხეების ან მათი ნაწილების სამუდამოდ ჩამოშორება საქართველოსთვის.

მოგვიანებით, მასობრივი იძულებითი გადასახლებები, რომლებიც ეთნორეპრესიების იარაღად იქცა მთელ საბჭოთა კავშირში, შეეხო საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, მაგრამ ძირითადად და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მთის მოსახლეობას. იძულებითი გადასახლებების სამართავად შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურები. კომუნისტური პარტიის ორგანოები ადგენდნენ მიგრაციის გეგმებს, რომლებსაც მკაცრად ახორციელებდნენ საბჭოთა უშიშროების სამსახურის სტრუქტურები. ისტორიულად განვითარებული სოციოლინგვისტური და კულტურული ერთეულები, რომლებიც არსებობდა ათასობით წლის განმავლობაში, დაიშალა და საფუძვლიანად შეიცვალა.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მიგრაციული ტალღები გაჩნდა ე.წ. „ეთნოკონფლიქტების“ შედეგად აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

მიგრაციების ახალ-ახალ ტალღებს წარმოქმნიდა ქანქარისეზური მიგრაციები სვანეთიდან, აჭარიდან და რაჭიდან - ეკოლოგიური კატასტროფების შემდეგ.

აღნიშნულმა მოვლენებმა ძირეულად შეცვალა დიალექტების განფენილობა საქართველოში.

მოხსენებაში პრესის, საარქივო მასალებისა და ჩვენ მიერ ბოლო 25-30 წლის განმავლობაში მოპოვებული ზეპირი ისტორიების მიხედვით წარმოდგენილია მე-20 საუკუნის შიდამიგრაციული პროცესების შეძლებისდაგვარად სრული სურათი.

ქართული დიალექტების ახალი სივრცული განფენილობის შესახებ ინფორმაცია აისახება ქართული დიალექტური კორპუსის (ქდკ) (<http://corpora.co/>) „მიგრაციების ქვეკორპუსსა“ და „მიგრაციების კარტოგრაფიულ ბაზაში“, რომელიც შეიქმნა და ვითარდება გრძელვადიანი კვლევითი პროექტის „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის“ ფარგლებში. პროექტს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს მიგრაციული დიალექტური ტექსტების უნიკალური ვიდეოჩანაწერები, იშვიათი საარქივო მასალები.

შიდა მიგრაციების მონაცემთა ბაზა ეფუძნება ემპირიულ სავლელე კვლევებს, საარქივო მასალებსა და წყაროებს. კვლევისას გამოყენებული კომპლექსური კითხვარი აღწერს საქართველოს შიდა მიგრაციების რეგიონებს, მიგრანტებს ეროვნებისა და კუთხურობის მახასიათებლების მიხედვით. გარდა ამისა, შიდა მიგრაცია აღიწერება სხვადასხვა მეტამონაცემების მიხედვით: მიგრაციის სახე (ნებაყოფილობითი, იძულებითი...); მიგრაციის ტიპი (მასობრივი, ინდივიდუალური...); ჩასახლების ტიპი (კომპაქტური, არაკომპაქტური..., კონტაქტური, არაკონტაქტური...) და სხვ. მიგრაციების ბაზაში შესაძლებელია ენობრივი, ეთნოგრაფიული, ისტორიული და სხვ. ინფორმაციის ჩართვაც.

Lia Bakuradze, Marina Beridze

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

Zakharia Pourtskhvanidze

Institute of Empirical Linguistics. Goethe University

Internal Migration and the New Geography of Georgian Dialects¹

This paper deals with the impact of internal migration on the reshaping of the linguistic landscape in Georgia. It provides a comprehensive picture of internal migration in Georgia over the last 150 years or so, during which time the country's territory has also undergone major changes. Migration and the reduction of the national territory have fundamentally changed the geographical distribution of Georgian dialects and their status. The traditional cultural and linguistic varieties have been broken out of the geographically fixed territories that have existed for thousands of years and redistributed within the country. This creates a completely new picture of the geography of dialects and a new situation of contact.

The dialectal space of the Georgian language and its distribution have always been connected with the ethnographic (corner) division of the country. The separation of Georgian dialects is based on ethno-cultural, linguistic and territorial boundaries. Thus, ethnographic and linguistic (dialect distribution) maps of Georgian are traditionally almost identical.

However, this 'harmonious' identity is illusory and does not correspond to reality.

At the beginning of the 19th century, the Russian annexation drastically changed the demographic picture of Georgia. As a result of dozens of waves of migration, the linguistic (dialect) map of Georgia was radically altered.

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number FR-21-336]

The policy of Russian colonisation meant the settlement of both Russians and other ethnic groups in Georgia. In the course of time compact settlements of Armenians, Greeks, Poles, Germans, Ukrainians, Lithuanians, Kurds and Avars were created. These processes often took place at the cost of harassment and displacement of the indigenous population.

At the end of the 19th century, in response to the Russian policy of demographic annexation, a movement began to replenish the Georgian population in the areas that had been evacuated, which can be described as "internal colonisation". And in 1907, the "Land and Property Commission" was established at the National Land Bank, which used the bank's profits for the demographic recovery of the Georgian regions. The creation of this commission was a kind of joint reaction of different social strata to the demographic annexation of the country. Although it could not fully compensate for the devastating consequences, it significantly improved the situation and saved many regions of Georgia from a demographic catastrophe.

During the years of the First Republic (1918-1921), the migration policy aimed at preventing demographic annexation continued. The far-reaching consequences of this policy can be seen today in the densely populated regions of eastern Georgia, which linguistically represent a "conglomerate" of several dialectal islands.

The demographic situation created by Russian colonialism allowed the Bolshevik rulers to pursue their geostrategic goals in the Caucasus from 1921 onwards. The result of this strategy was the permanent alienation of many parts of Georgia.

Later, mass forced relocations, which became a tool of ethnic repression throughout the Soviet Union, affected different parts of Georgia, but mainly and above all the mountainous population of Georgia.

Special state structures were created to subjugate and govern the Georgian highlands. The Internal Security Service had special departments for migration. The Communist Party organs drew up migration plans, which were rigorously implemented by these security

structures. A historically developed socio-linguistic and cultural entity that had existed for thousands of years was destroyed forever.

During the last three decades of the Republic of Georgia, waves of migration occurred in the so-called "ethno-conflicts" in Abkhazia and Shida Kartli.

A pendulum migration from Svaneti, Adjara and Racha can be observed - after ecological disasters.

These events fundamentally changed the distribution of dialects in Georgia.

The report presents as complete a picture as possible of internal migration processes in the 20th century, based on press, archival materials and oral histories we have collected over the last 25-30 years.

Information on the new spatial distribution of Georgian dialects is reflected in the "Subcorpus of Migrations" and the "Cartographic Database of Migrations" of the Georgian Dialect Corpus (<http://corpora.co/>) (corpora.co), created and developed within the framework of the long-term research project "Linguistic Portrait of Georgia". The project brings into scientific circulation unique video recordings of migratory dialect texts, rare archival materials.

The database of internal migrations is based on empirical field studies, archival materials and sources. The complex questionnaire used in the research describes the regions of internal migration in Georgia, migrants according to the characteristics of nationality and regionality. In addition, internal migration is described according to various metadata: type of migration (voluntary, forced...); type of migration (mass, individual...); type of settlement (compact, non-compact..., contact, non-contact...), etc. Linguistic, ethnographic, historical, etc. are possible in the database of migrations. Inclusion of information as well.

მარინა ბერიძე, ნინო შარაშენიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ზაქარია ფურცხვანიძე

ემპირიული ენათმეცნიერების ფრანკფურტის გოეთეს სახელობის
უნივერსიტეტი

შიდა მიგრაციის სოციოლინგვისტური კონტურები¹

რაკი დიალექტები უპირატესად ტერიტორიული ენობრივი წარმონაქმნებია და ისინი ერთმანეთთან, სალიტერატურო ენასთან და მომიჯნავე უცხო ენობრივ სისტემებთან მუდმივ კავშირში ვითარდებიან, ბუნებრივია, სოციოლინგვისტური ფაქტორები მათ კვლევას სულ თან ახლავს.

ასეთ კითხვასაც კი სვამს ზოგი მკვლევარი: რომელ დისციპლინურ ველში უნდა განიხილებოდეს დიალექტების შესწავლა – ლინგვისტიკისა თუ სოციოლინგვისტიკის?

ქართულ სამეცნიერო დიალექტოლოგიას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ის ვითარდებოდა როგორც ლინგვისტიკის ნაწილი და, ერთი მხრივ, ზუსტად იმეორებდა ტრადიციულ ლინგვისტურ კვლევათა მეთოდოლოგიას: ზედმიწევნით აღწერდა დიალექტის, როგორც ენობრივი სისტემის, ყველა იერარქიულ დონეს, მეორე მხრივ კი ეს აღწერა აუცილებლად ხდებოდა სალიტერატურო ენასთან მიმართებით: ძირითადად აღიწერებოდა სალიტერატურო ენისგან განსხვავებები, შესაბამისად, ეს კვლევა უკვე მოიცავდა სოციოლინგვისტურ ელემენტებსაც, რამდენადაც განიხილავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ენობრივი ცვლილება, ენობრივი გავლენა, არქაიზაცია, ანალოგია, უნიფიკაცია, ენათა კონტაქტი და სხვა. ალბათ გარკვეული თვალსაზრისით სწორია

¹ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-21-336].

ზემოთ ნახსენები მსჯელობა დიალექტოლოგიის სოციოლინგვისტურ ბუნებაზე, რადგან დიალექტის ჩამოყალიბება სწორედ სოციალურ ფაქტორთა ნაკრების ზეგავლენით ხდება.

მიგრაცია ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის არის ძლიერი მოტივატორი ენათა (დიალექტთა) ახალი კონტაქტების წარმოსაქმნელად.

მიგრაციული პროცესების გამო ქართული დიალექტების დიდი ნაწილი თავის წარმომქმნელ ეთნოტერიტორიულ სივრცეს ჩამოშორდა და სრულიად განსახვავებულ გარემოში აგრძელებს განვითარებას. შესაბამისად, ჩამოყალიბდა დიალექტების (თანა) არსებობის შემდეგი მოდელები:

1. დიალექტი მოქცეულია ისტორიულ, ბუნებრივ ტერიტორიულ საზღვრებში
2. დიალექტი მიგრაციის ან პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად იზოლირებულია და მოქცეულია უცხოენოვან სახელმწიფოში (ფერეიდნული, ინგილოური, თურქეთის ქართული დიალექტები)
3. დიალექტი შიდა მიგრაციის გამო მოქცეულია სხვა დიალექტის (დიალექტების) გარემოცვაში.

პირველი მოდელი შენარჩუნდა საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე დიალექტების გავრცელების ისტორიულ საზღვრებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი კუთხე თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისგან (ხევსურეთი, თუშეთი), იქ ამ მოსახლეობის ქანქარასებური მიგრაციისა (თუშეთი) და ადგილზე დარჩენილი თითო-ოროლა ოჯახის (ხევსურეთი) წყალობით დიალექტის საწყისი ტერიტორიის საზღვრები არ დარღვეულა და როგორც კი საამისო პირობები დადგა, მან ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო შევსება მიგრანტების ახალი თაობის უკან დაბრუნების (ან ნაწილობრივ დაბრუნების) ხარჯზე.

მეორე მოდელი – სხვა სახელმწიფოში გავრცელებული და მშობლიური კულტურული არეალიდან იზოლირებული კუნძულების სახით წარმოდგენილია ირანის ისლამური რესპუბლიკის (ფერეიდნული), აზერბაიჯანისა (ინგილოური) და თურქეთის

(თურქეთის ქართული დიალექტები: ტაოური, შავშური, კლარჯული და ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება).

მესამე მოდელი – ამ ტიპის „კუნძულები“ გაფანტულია მთელ საქართველოში და მათი რიცხვი, სამწუხაროდ, გაიზარდა მე-20 საუკუნის ბოლოს რამდენიმე ეკოლოგიური კატასტროფისა და ოკუპაციური სიტუაციის, იძულებით გადაადგილებისა და დევნილობის გამო. თუ ასეთი „კუნძულების“ რუკას დაეხედავთ, აღმოჩნდება, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ჩასახლებები კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში გვაქვს, გადასახლებულთა შორის კი არიან ძირითადად მაღალმთიანი და მცირემიწიანი რაიონების მკვიდრნი: იმერეთიდან, ხევსურეთიდან, ფშავიდან, რაჭიდან, აჭარიდან, მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ლეჩხუმიდან, სვანეთიდან. გურიაში გვაქვს აჭარიდან საყოფაცხოვრებო მიგრაციის რამდენიმე კუნძულური კერაც (მაგ. სოფ. ზოტი და ჩხაკაურა ჩოხატაურის რაიონში).

დიალექტური მეტყველება კოდური დაპირისპირების ისეთსავე პარადიგმებს ქმნის, როგორსაც ჩვეულებრივ ენათა კონტაქტების დროს ვხვდებით. ენობრივი ცვლილება დიალექტში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სალიტერატურო კოდთან და სხვა დიალექტებთან ურთიერთობის გამო.

რაც არ უნდა ძლიერი იყოს მოსაზღვრე დიალექტის გავლენა, დიალექტი გაცილებით მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს საკუთარ დიალექტურ არეალთან, ვიდრე უშუალო კონტაქტში მყოფ დიალექტთან, რაც განაპირობებს ე.წ. გარდამავალ დიალექტურ ზონებში მუდმივი განსხვავების, იდენტობის მარკერების მუდმივად შენარჩუნებას. „მშობლიური“ დიალექტური კოდისგან „დაშორება“ უფრო სალიტერატურო ენისკენ „გათანაბრების“ ხარჯზე ხდება, ვიდრე, მეზობელ კოდთან ასიმილაციისა.

21-ე საუკუნის ქართული დიალექტური სურათი მკვეთრად არის დაშორებული ისტორიული ეთნოტერიტორიული დიალექტების სივრცულ განფენილობას. შესაბამისად, განსხვავებულია ლინგვისტური კვლევის ამოცანებიცა და მიზნებიც.

თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში დიალექტური კვლევა ორიენტირებული იყო „დიალექტურ ნორმაზე“ და საკვლევი მონაცემის მოპოვებისას მკაცრად შეირჩეოდა „იდეალური მთქმელი“, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, საკუთარი სოფლიდან გასულიც არ უნდა ყოფილიყო, დღეს შესწავლის საგანია სამეტყველო კოდების ურთიერთქმედების რთული კომბინაციები და ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც სალიტერატურო ენისა და მეზობელი დიალექტების აქტიური ზეგავლენის მიუხედავად, დიალექტი ახერხებს საკუთარი იდენტობის „საზღვრების“ გამიჯვნას. ამ მექანიზმების გამოვლენისა და კვლევისათვის პროექტის ფარგლებში შემუშავდა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, ლინგვისტური კითხვარების სახით.

Marina Beridze, Nino Sharashenidze

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

Zakharia Pourtskhvanidze

Institute of Empirical Linguistics. Goethe University

Sociolinguistic Outlines of Internal Migration in Georgia¹

Since dialects are first and foremost territorial language formations that develop in constant interaction with each other, with the written language and with neighbouring foreign language systems, sociolinguistic factors are natural companions of dialect research. Sociolinguistic factors generally accompany the study of dialects. There is even a question as to which discipline dialect research should be placed in - linguistics or sociolinguistics?

Georgian scientific dialectology has a 100-year history. It was developed as part of linguistics and, on the one hand, exactly repeated

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number FR-21-336]

the methodology of traditional linguistic research by meticulously describing all hierarchical levels of dialect as a language system. On the other hand, this description was necessarily made in relation to the standard language: it described above all the differences to the standard language - therefore this part already contained sociolinguistic elements, as it considered topics such as language change, language influence, archaisation, analogy, standardisation, language contact, etc.

The formation of a dialect is the result of social factors. It happens under the influence of the group. Migration is one of the determining factors. It is one of the new motivations for establishing new language contacts (dialects). As a result of migration processes, many Georgian dialects have lost their ethno-territorial space and continue to develop in a completely different environment.

Accordingly, the following models of dialect (co)existence have emerged

1. the dialect is located within historical, natural boundaries
2. the dialect is isolated by migration or political cataclysms and exists in a foreign language state (Fereydani Georgian, Ingilo Georgian and Georgian dialects of Turkey).
3. the dialect is surrounded by another dialect or dialects due to internal migration.

The first model has been preserved almost throughout Georgia within the historical boundaries of the dialects. The second model, which is widespread in other countries and isolated from the native cultural space, is represented in the Islamic Republic of Iran (Fereydani Georgian), Azerbaijan (Ingilo Georgian) and Turkey (Georgian dialects of Turkey). The third model - the "islands" scattered throughout Georgia - unfortunately increased at the end of the 20th century due to various environmental disasters, occupations and forced resettlements.

Most of the settlements are located in Kakheti and Samtskhe-Javakheti. Most of the migrants are from the highlands and landless areas: Imereti, Chevsureti, Pshavi, Racha, Adjara, Mtiuleti, Gudamakri, Lechkhumi, Svaneti. There are also several island centres in Guria where households have migrated from Adjara.

Dialect language creates the same paradigms as language contact. The linguistic change of a dialect is continuous due to the interaction with the standard language code and other dialects. A dialect maintains a closer connection with its own dialectal area than with a dialect in direct contact, resulting in the preservation of markers of enduring difference and identity in dialectal transition zones. The picture of Georgian dialects in the 21st century differs from the historical situation of the existence of dialects. Accordingly, the tasks and goals of linguistic research are also different. At the beginning of the twentieth century, dialect research focused on the 'dialect norm'; today, complex combinations of the interaction of language codes are the subject of research. In order to identify and explore these mechanisms, the project has developed a set of methodological tools - linguistic questionnaires.

ალექსანდრე გავაშელიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის
ბიომრავალფეროვნების კვლევის ცენტრი

მერაბ ჩუხუა

თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

სამხრეთკავკასიური ენების წარმოშობის დრო და ადგილი

ჩვენი კვლევა არის ამბავი იმისა, თუ რას გვამცნობს შედარებითი ლინგვისტიკა, არქეოლოგია, ეთნოეკოლოგია და ადამიანთა პოპულაციური გენეტიკა სამხრეთ კავკასიური ენების (იგივე ქართველური ენების) წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ.

ის ხელახლა შეისწავლის სამხრეთ კავკასიურ ენათა ოჯახის (ე.ი. ქართველურ ენათა ოჯახის) ლინგვისტურ ფილოგენიას და ცდილობს გამოავლინოს მისი წარმოშობის ადგილი. ჩვენ ვიყენებთ ბაიესურ ფილოგენეტიკას სამხრეთ კავკასიური ენების დათარიღებული ფილოგენიის დასადგენად.

ქართველური ენების წარმოშობის ადგილს და გაყოფის მიზეზებს ვადგენთ: (1) ძველი არეალებით იმ ცხოველებისა და მცენარეებისა, რომელთა სახელები აღდგება წინარე ქართველურ ძირებამდე, (2) წარსული კულტურების გავრცელების ადგილებით და (3) წარსულ და არსებულ ადამიანთა პოპულაციების გენეტიკური ვარიაციებით.

ჩვენი საუკეთესო ბაიესური ფილოგენეტიკური მოდელი ეთანხმება წინა კვლევების მიერ შემოთავაზებულ ფართოდ მიღებულ ტოპოლოგიას. თუმცა, ამ კვლევებისგან განსხვავებით, ჩვენი მოდელი გთავაზობს უფრო ადრეულ საშუალო გაყოფის თარიღებს, რომლის მიხედვითაც სვანური და ქართულ-ზანური დაშორდნენ ერთმანეთს ადრეულ სპილენძის ხანაში, ხოლო ქართული და ზანური – ადრეულ რკინის ხანაში. ზანურის მეგრულად და ლაზურად დაყოფა ფართოდ მიეწერება ქართულის და/ან ქართულად მეტყველთა გავრცელებას VII-VIII საუკუნეებში.

ჩვენი ანალიზი ქართველურ ენათა წარმოშობას ვარაუდობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც დიდწილად მოიცავს სამხრეთ კავკასიის კოლხურ მყინვარულ რეფუგიუმს. ქართველური ენების დაყოფა მტკიცედ არის დაკავშირებული როგორც ტექნოლოგიების გავრცელების სიჩქარესთან სხვადასხვა ლანდშაფტში, ისე სახელმწიფოს მიერ მართული თემების გაჩენასთან.

ნეოლითურმა საზოგადოებებმა ვერ შეძლეს უღრანი ტყეების კოლონიზაცია, მაშინ, როცა სპილენძის ხანის საზოგადოებებმა ამ მხრივ მცირე წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ არა იმდენს, რამდენსაც ბრინჯაოსა და რკინის ხანის საზოგადოებებმა. ნაშრომი ასევე განიხილავს მყინვარული რეფუგიუმების მნიშვნელობას ლინგვისტური ოჯახების საფუძვლის ჩაყრაში და, აგრეთვე, საკითხს, თუ საიდან შეიძლება წარმოშობილიყვნენ ინდოევროპული ენები.

Alexandre Gavashelishvili

Ilia State University Institute of Ecology Biodiversity Research Center

Merab Chukhua

TSU Institute of Caucasiology

The time and place of origin of the South Caucasian languages

Our research is the story of what comparative linguistics, archaeology, ethnoecology and human population genetics tell us about the time and place of origin of the South Caucasian languages (aka Kartvelian languages).

This study re-examines the linguistic phylogeny of the South Caucasian linguistic family (aka the Kartvelian linguistic family) and attempts to identify its Urheimat. We apply Bayesian phylogenetics to infer a dated phylogeny of the South Caucasian languages.

We infer the Urheimat and the reasons for the split of the Kartvelian languages by taking into consideration (1) the past distribution ranges of wildlife elements whose names can be traced back to proto-Kartvelian roots, (2) the distribution ranges of past cultures and (3) the genetic variations of past and extant human populations.

Our best-fit Bayesian phylogenetic model is in agreement with the widely accepted topology suggested by previous studies. However, in contrast to these studies, our model suggests earlier mean split dates, according to which the divergence between Svan and Karto-Zan occurred in the early Copper Age, while Georgian and Zan diverged in the early Iron Age. The split of Zan into Megrelian and Laz is widely attributed to the spread of Georgian and/or Georgian speakers in the 7th-8th centuries CE.

Our analyses place the Kartvelian Urheimat in an area that largely intersects the Colchis glacial refugium in the South Caucasus. The divergence of Kartvelian languages is strongly associated with differences in the rate of technological expansions in relation to landscape heterogeneity, as well as the emergence of state-run communities.

Neolithic societies could not colonize dense forests, whereas Copper Age societies made limited progress in this regard, but not to the same degree of success achieved by Bronze and Iron Age societies. The paper also discusses the importance of glacial refugia in laying the foundation for linguistic families and where Indo-European languages might have originated.

ასია დარბინიანი

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისური სომხური დიალექტი

(გაბრიელ სუნდუკიანის დრამების მიხედვით)

გაბრიელ სუნდუკიანმა სომხურ ლიტერატურაში შემოიტანა ახალი თემა, ახალი მიმართულება და აზროვნება. გარდა იმისა, რომ სათქმელი და ჟანრი ახალი იყო, თანაბრად ცოცხალი და ტიპური იყო ენა, რომელზეც ლაპარაკობდნენ სუნდუკიანის გმირები და რომელიც ჩვენი შესწავლის საგანია. საკმაოდ რთული ამოცანაა კრიტიკული საზოგადოებისთვის სათქმელის დიალექტით მიწოდება და ამავდროულად წლების განმავლობაში მისი აქტუალობის შენარჩუნება. სუნდუკიანი გახდა ის ავტორი, რომელმაც წარმოადგინა სომეხი ხალხის ერთი დიდი ნაწილი თავისი ყოფაცხოვრებით, საზრუნავითა და გრძნობებით და ამავდროულად გადაარჩინა ერთ-ერთი სომხური დიალექტი დაკარგვას და საუკუნეებს უანდერმა თბილისური სომხური დიალექტი. სუნდუკიანისა და საიათ-ნოვას წყალობით თბილისურმა სომხურმა დიალექტმა მთელი თავისი სიმდიდრით მოაღწია ჩვენამდე.

გაბრიელ სუნდუკიანი დაიბადა 1825 წლის 29 ივნისს, თბილისში. ის არის სომეხი მწერალი, დრამატურგი, კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი სომხურ ლიტერატურაში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამსახური დაიწყო თბილისში, მეფისნაცვლის

კანცელარიაში, შემდეგ მუშაობდა კავკასიის გზათა სამმართველოს სამეურნეო განყოფილების უფროსად და სამოქალაქო გენერლის ჩინს მიაღწია. სუნდუკიანი მხარში ამოუდგა თბილისის ამქრებს სოციალური უფლებებისათვის ბრძოლაში, მონაწილეობდა ქალაქის საბჭოს მუშაობაშიც. ლიტერატურული საქმიანობა 60-იან წლებში დაიწყო. მისი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სომხურ თეატრთან, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც თავად იყო. სუნდუკიანის პირველი კომედია „სადამოს ცხვირი ხეირია“ დაიდგა 1863 წელს, „ხათაბალა“ – 1866, „ოსკან პეტროვიჩი საიქიოში“ – 1866, „კიდევ ერთი მსხვერპლი“ – 1870, „პეპო“ – 1871, ქართულ სცენაზე – 1875.

სუნდუკიანი წერდა ძირითადად სომხური ენის თბილისურ დიალექტზე, რომელიც მრავლად შეიცავს ქართულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ფართოდ იყენებდა თბილისურ ფოლკლორს. ყოველივე ამან განაპირობა მისი ენის თავისებურება. ზემოაღნიშნული პიესები ერთმანეთის მიყოლებით იდგმებოდა, მაყურებლის დიდ აღფრთოვანებას ან კრიტიკას იმსახურებდა. თბილისური სომხური ცხოვრების კარგი და ცუდი მხარეების ასახვით, იგი რჩება ადგილობრივი ენობრივი აზროვნების ერთგული, იყენებს თბილისური სომხური დიალექტის მთელ ხიბლსა და სიმდიდრეს, ქმნის ცხოვრებისეულ, ცოცხალ და ორიგინალურ ნაწარმოებებს.

მოხსენების მიზანია დავახასიათოთ სუნდუკიანის დრამების ენა და სტილი, გავარკვიოთ თბილისური სომხური დიალექტის ზოგადი ნიმუშები და ის ნიშნები, რომლებიც სუნდუკიანის შემოქმედებას ორიგინალურ და განუმეორებელ გამოხატულებას ანიჭებს. მოხსენებაში წარმოვადგენთ თბილისური სომხური დიალექტის ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებს სუნდუკიანის შემოქმედებაში, გამოვყოფთ გამომსახველობისა და გამომხატველი საშუალებების გამოყენების თავისებურებებს და სიხშირეს, ვაჩვენებთ, ჰქონდა თუ არა ავტორს გარკვეული გავლენა დიალექტურ რეალობაზე და როგორ შეუფარდა ლიტერატურულ სომხურს თბილისური სომხური დიალექტის კანონზომიერებები.

Asya Darbinyan

Yerevan State University

Tbilisi dialect of the Armenian language

(based on Gabriel Sundukyan's plays)

Gabriel Sundukyan introduced new themes, directions, and modes of thinking to Armenian literature. Not only were the subject matter and genre innovative, but the language used by Sundukyan's characters, the focus of my study, was equally vibrant and characteristic. Conveying a narrative to a discerning audience in dialect while ensuring its enduring relevance is a formidable task. Sundukyan emerged as an author who not only portrayed a significant segment of Armenian society with their lives, concerns, and emotions but also safeguarded the Armenian dialect from obscurity, thereby preserving the Tbilisi Armenian dialect for future generations. Thanks to the efforts of Sundukyan and Sayatnova, the richness of the Tbilisi Armenian dialect has been passed down to us.

Gabriel Sundukyan, born on June 29, 1825, in Tbilisi, was a prominent Armenian writer and playwright, credited as one of the pioneers of critical realism in Armenian literature. He completed his studies at the Faculty of History-Philology in St. Petersburg before commencing his career in Tbilisi, initially serving in the chancellery of the Vicegerent. Later, he held the position of head of the economic department at the Caucasus Road Administration, eventually attaining the rank of civil general. Sundukyan actively advocated for the social rights of the citizens of Tbilisi and actively participated in the city council's affairs. His literary endeavors began in the 1860s, and he became intricately involved in the Armenian theater, which he played a pivotal role in founding. In 1863, the Armenian theater company of Tiflis premiered his first play, "Sneezing at Night's Good Luck." This was followed by "Khatabala" in 1866, "Oskan Petrovich in the Next World" also in 1866, "Another Victim" in 1870, and "Pepo" in 1871 (which debuted on the Georgian stage in 1875).

Sundukyan primarily wrote in the Tbilisi dialect of the Armenian language, characterized by the inclusion of numerous Georgian words and phrases, and he extensively incorporated elements of Tbilisi's folklore into his works. These factors contributed to the distinctiveness of his language. His aforementioned plays were staged consecutively and elicited both praise and criticism from audiences. By portraying the ups and downs of life of Armenians of Tbilisi, Sundukyan remained faithful to the local linguistic nuances. He skillfully utilized the charm and richness of the Tbilisi Armenian dialect to craft vibrant, authentic, and original works.

The presentation aims to analyze and characterize the language and style of Sundukyan's plays, uncovering the overarching patterns of the Tbilisi Armenian dialect, and identifying the distinctive elements that contribute to Sundukyan's original and unique expression. The presentation will delve into the phonetic, grammatical, and lexical features specific to the Tbilisi Armenian dialect as depicted in Sundukyan's works. Furthermore, I will emphasize the peculiarities and frequency of expression and expressive means utilized by the author. Additionally, I will explore whether Sundukyan's works influenced the dialectal reality and how the regularities of the Tbilisi Armenian dialect were maintained within literary Armenian.

მაკა თეთრაძე, მათა ბარბაქაძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ინგილოური საქართველოში მიგრაციის კონტექსტში¹

ჩვენი კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ აზერბაიჯანიდან საქართველოში წამოსული ქართველები – ინგილოების თვითაღქმა და მეტყველების თავისებურება – როგორც იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი. გამოვყავით მიგრაციის სამი ტიპი:

1. ჯგუფური მიგრაცია, რამაც ახალი კომპაქტური დასახლება შექმნა (სოფელი სამთაწყარო, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი);
2. სასწავლო, ინდივიდუალური მიგრაცია;
3. შრომითი მიგრაცია, როდესაც, ძირითადად, ოჯახებით სახლდებიან საქართველოში.

კვლევა ეფუძნება ჩვენ მიერ ჩაწერილ ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფის მასალებს. კერძოდ, ჩავიწერეთ 14 ინტერვიუ და ჩავატარეთ ფოკუსჯგუფის ორი შეხვედრა. კითხვარი ისე იყო შედგენილი, რომ თითოეულში გამოკვეთილიყო ენა, როგორც იდენტობის მახასიათებელი: კითხვები შეეხებოდა მეხსიერებას, კულტურულ წარმოდგენებს, რელიგიას, ტრადიციას, განათლებას, ენას, ცხოვრების სტილს. შესაბამისად, მონაცემები შეიკრიბა ენის გამოყენების, ენობრივი დამოკიდებულებისა და ენობრივი თვითაღქმის შესახებ. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოხსენებაში ვაჩვენებთ ინგილოთა მეტყველების კოდების თავისებურებებს და მათ თვითაღქმას მიგრაციის კონტექსტში: აღმოჩნდა, რომ საქართველოში დასახლებული ინგილოები ინარჩუნებენ იმ მეტყველებას, რომელზეც მშობლიურ სოფლებში, საინგილოში

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

საუბრობდნენ. პირველი ჯგუფის – სამთაწყაროს მკვიდრი ყველაზე ძველი მიგრანტების – ინგილოური განსხვავებულია *კაკურის-განაც* და *ალიაბათურისგანაც*. განსხვავებას ქმნის მეზობელი სოფლების მცხოვრები მოსახლეობის მეტყველებათა გავლენა. თვალში საცემია ინტონაციური სხვაობა, თუნდაც იმავე სოფელში მოგვიანებით დასახლებულ ინგილოთა მეტყველებასთან. ამ დასახლების საერთო ენობრივი სურათი აჩვენებს, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინგილოური სოფლიდან გადმოსახლებული ქართველების მეტყველება განსხვავდება, და, შესაბამისად, ლინგვისტური თვალსაზრისით მისი ერთ თქმად კლასიფიცირება ვერ ხერხდება. რაც შეეხება შრომითი თუ სასწავლო მიზნით ჩამოსულ ქართველებს, რომლებიც ძირითადად თბილისსა და რუსთავში არიან დასახლებულები, ისინი ინარჩუნებენ დიალექტს და სალიტერატურო ენის გავლენა მათ დიალექტურ კოდზე ნაკლებია. ამავე დროს, ჩანს, რომ ისინი სრულყოფილად ფლობენ სალიტერატურო ენას და მასზე ლაპარაკისას რაიმე ლინგვისტური თავისებურება, რომელიც მიანიშნებდა მათ წარმომავლობას, არაა გამოკვეთილი. აღსანიშნავია, რომ სამთაწყაროელები საუბრისას ნაკლებად ერთვებიან სალიტერატურო ქართულის კოდზე. ხოლო შრომითი და სასწავლო მიგრაციით საქართველოში დასახლებული ინგილოები თანაბრად თავისუფლად საუბრობენ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტზე, ისე რომ სამეტყველო კოდების შერევა, ძირითადად, არ ხდება. საქართველოში ახალი საცხოვრებელი გარემო ინგილოთა ჯგუფურ იდენტობას არ ასუსტებს. მათი სამეტყველო კულტურა, კულტურული ყოფის დეტალები, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად იცვლება, მაგრამ ამავე დროს, შენარჩუნებულია ლინგვისტური და კულტურული იდენტობის ხაზგასასმელი ძლიერი მარკერები.

Ingilo Georgian in the Context of Migration¹

Ingilo Georgian (ingilouri) is a Georgian language dialect spoken mainly in the historical part of Georgia which is now the territory of Azerbaijan, three administrative units: Qakh, Aliabad, Balakan. The region is neighboring to Georgia, although only few Ingilo Georgian villages have a direct border connection with the territory of the republic of Georgia.

The aim of our study is two-fold: Firstly it attempts to show the self-perception of the Georgians who migrated from Azerbaijan to Georgia. Secondly it implies to explore the peculiarities of the Ingilo Georgian dialect as a key marker of their identity.

There is no official data about the number of the Georgians from Azerbaijan, although they live mainly in Tbilisi and Rustavi. In addition, there is an only village Samtatsqaro in Dedoplistqaro municipality established by Ingiloians a century ago. The majority of the population of the village are the latter.

Considering the above mentioned information, we classified Ingilo Georgians' communities into three types of migration: 1. group migration, which created a new compact settlement (v. Samtatsqaro); 2. migration for educational purposes (mostly individual); 3. labor migration (usually families).

The data of the study were collected through 14 interviews and 2 focus group meetings.

The questionnaire was drawn up in such a way that the language as a form of identity was highlighted in each section: the questions covered memory, cultural beliefs, religion, tradition, education,

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number HE-21-873]

language, lifestyle. Accordingly, data on the use of language, language attitude and self-perception have been gathered.

The paper shows the peculiarities of the speech codes of the Ingilos and their self-perception in the context of migration:

As it turned out, the Ingilos settled in Georgia keep their native speech variety (they speak in their home villages, Saingilo, Azerbaijan). The speech of the first migration type community – the oldest migrants living in Samtatsqaro – is different from both Kakuri and Aliabaturi subdialects. The speech of Georgians of neighboring villages influenced their Ingilo Georgian. A general linguistic picture of this settlement shows that the speech of Georgians who migrated from different villages of Saingilo at different times varies, therefore, linguistically, we cannot classify their speech in one dialect or subdialect.

As for the Georgians who migrated for labor or educational purposes from Azerbaijan, they preserve the dialect and the influence of the literary language on it is miserable. Meanwhile they speak Georgian standard language fluently without mixing speech codes. Moreover they can easily switch codes - from Standard Georgian to their dialect.

We assume that the environment and migration do not weaken Ingilo Georgians' group identity. Their speech, might be influenced by the new environment in Georgia, but at the same time, the strong markers preserved. That means those key markers highlight their linguistic and cultural identity.

როლანდ თოფჩიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

შიდა მიგრაციული პროცესები საქართველოში და მათი ეთნოკულტურული და ენობრივი ასპექტები

შიდა მიგრაციული პროცესები საქართველოში მისი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა. ის იყო როგორც მუდმივი, ისე დროებითი. როგორც ერთი, ისე მეორე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქართველი ხალხის ეთნიკურ და კულტურულ განვითარებაზე, ენობრივ ვითარებაზე, იწვევდა ახალი დიალექტებისა თუ კილოკავების წარმოქმნას. საგარეო ფაქტორმა კი მთელ რიგ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ქართული ენისა და მისი დიალექტების გაქრობა განაპირობა.

მუდმივი მიგრაციული პროცესი მიმდინარეობდა მთიდან მთისწინეთსა და ბარში, დასავლეთ საქართველოდან - აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ორი მუდმივი მიგრაციული ნაკადი ფაქტობრივად იწვევდა აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობის კვლავწარმოებას. ამ მიმართულებით მიგრაციას გეოგრაფიული და ამით გამოწვეული დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა. მთაში მოსახლეობის რაოდენობა შეზღუდული იყო; მთის მხარეებს მხოლოდ მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობის გამოკვება შეეძლო. პირიქით პროცესები ბარიდან მთაში და აღმოსავლეთიდან - დასავლეთში მხოლოდ დროებითი იყო. დროებით გადასახლება ამ მიმართულებით საგარეო ფაქტორით იყო გამოწვეული. რომ არა მიგრაციის ეს ორი მიმართულება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დემოგრაფიული თვალსაზრისით კატასტროფიული ვითარება იქნებოდა.

მიგრაციულ პროცესებში ჩართული იყო სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაც. გვიან შუა საუკუნეებში ამ რეგიონის ოსმალეთის იმპერიის გამგებლობაში გადასვლამ განაპირობა მო-

სახლეობის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მიგრაცია. ამ მხრივ საკმარისია ჯავახეთის მოსახლეობის ქართლში და ნაწილობრივ კახეთში მიგრაცია დავასახელოთ.

შიდა მიგრაციული პროცესები ისტორიულ საქართველოში არ ყოფილა ჯგუფური, ერთდროული; ის ძირითადად ინდივიდუალური და გაჟონვითი იყო. ნებაყოფლობით ჯგუფური გადასახლებები მთიდან ძირითადად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოხდა. მთიელების ჯგუფური იძულებითი მიგრაციები ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების დროს განხორციელდა, რამაც მთელი რიგი უარყოფითი შედეგები გამოიწვია. სასაზღვრო ზონამ დაკარგა მოსახლეობა, რომელიც საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩრდილოეთის საზღვარს იცავდა. ტრანსფორმაცია განიცადა ტრადიციულმა ყოფამ და კულტურამ და მთისათვის დამახასიათებელმა მეტყველებამ (დიალექტებმა). ადამიანებს აკლიმატიზაციის პრობლემაც შეექმნათ.

საგარეო ფაქტორებით განპირობებულმა მიგრაციებმა გააქრო არა ერთი და ორი დიალექტი თუ კილოკავი. მაგალითად, ჩვენ არ ვიცით როგორ მეტყველებდა ერწო-თიანეთის, თრიალეთის, ისტორიული თორის ძველი მოსახლეობა. შესწავლილია, რომ დღევანდელი თიანური მეტყველება ჩამოყალიბებულია მიგრანტთა მიერ მოტანილი სხვადასხვა ენობრივი კოდების (ფშაურის, ხევსურულის, კახურის...) შერევის შედეგად.

მთიელთა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დროებითი მიგრაცია, გვიანი შემოდგომიდან მთაში გაზაფხულის დადგომამდე, იწვევდა ბარული ტრადიციების არა მარტო გაცნობას, არამედ გავრცელებასაც. ამ მხრივ გამორჩეული იყვნენ სვანები; ყველა მამაკაცი მთელ საქართველოში იფანტებოდა. ეს შედეგებით აფერხებდა სვანების მუდმივ გადასახლებას (აქ იმაზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, ვიდრე მხარეს შეეძლო გამოეკვება). უფრო მეტი, სვანთა ეს დროებითი ხანგრძლივი მიგრაცია მიზეზი იყო სვანეთში ქართული მეტყველების ფართოდ გავრცელებისა. დროებითი შიდა მიგრაციული პროცესები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვისაც იყო დამახასიათებელი. მაგალითად, იმერხევის მოსახლეობა ზაფხულში სამუშაოდ, ძირითადად, სათიბად

კოლასა და არტაანში დადიოდა. ისინი ხელცარიელი არ მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მიჰქონდათ ხილი, რაც კოლა-არტაანში არ ჰქონდათ და მოჰქონდათ მატყლი სამოსის მოსაქსოვად.

მოსახლეობის შიდა მიგრაციულ პროცესები საქართველოში ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული; ის იყო ქართველი ერის გადარჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი; იწვევდა ეთნიკურ კონსოლიდაციას, მძიმე დემოგრაფიული ვითარების აღდგენას. დროებითი სეზონური მიგრაციები საბოლოოდ ხელს უწყობდა მუდმივ გადასახლებას. დროებით სამუშაოდ ანდა სავაჭროდ გადმოსულ იმერეთისა და რაჭის მკვიდრთ ეძლეოდათ შესაძლებლობა ერთმანეთისათვის შეედარებინა თავიანთი მხარეებისა და ქართლ-კახეთის სამეურნეო-ეკონომიკური შესაძლებლობა. ეს კი მას უზიბებდა სათანადო გადაწყვეტილება მიეღო და მუდმივად გადასახლებულიყო. გვიან შუა საუკუნეებში ეს პროცესი ერთგვარად შენედა სამეგრელოდან და ქვემო იმერეთიდან, რადგან ამ მხარეების ნამატი მოსახლეობა, ტყვეთა სყიდვის სახით, უცხოეთში მიგრირდებოდა.

Roland Topchishvili

TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Internal Migration Processes in Georgia and Their Related Ethnocultural and Linguistic Aspects

Internal migrations have been a recurrent phenomenon in the history of Georgia, encompassing both permanent and temporary movements. These migrations have exerted a profound influence on the cultural development of the Georgian people and have significantly shaped the linguistic landscape, giving rise to the emergence of new dialects and subdialects. The influence of external factors has led to the disappearance of the Georgian language and its various dialects in certain historical-ethnographic regions.

There was a continuous migration process from the mountains to the foothills and lowlands, particularly from Western to Eastern Georgia. These constant migratory flows played a decisive role in reproducing the almost extinct population of Eastern Georgia. The movement in this direction was driven by geographic, demographic, and economic factors. As mountain conditions could only support a certain number of people, the population was small. Conversely, migration from the lowlands to the mountains and from east to west was temporary. The transient nature of this migration in these directions was influenced by external factors. Without these two migration flows, the demographic situation in Eastern Georgia would have been dire.

The population of South Georgia actively participated in migration processes. During the late Middle Ages, this region came under the control of the Ottoman Empire, resulting in population migrations towards both eastern and western Georgia. Notably, the migration of the Javakheti population to Kartli, and partially to Kakheti, is a significant example in this context.

The internal migration processes in historical Georgia were predominantly individual rather than group and simultaneous. Voluntary group migrations from the mountains became more prevalent mainly from the second half of the 19th century. In contrast, forced group migrations of highlanders were primarily implemented during Soviet rule, resulting in several adverse consequences. The border zone has lost those inhabitants who throughout Georgia's extensive history, had been the defenders of the northern border. This has led to transformations in traditional life, culture, and the distinct speech (dialects) characteristic of the mountainous regions. Additionally, individuals confronted challenges related to acclimatization.

The migration driven by external factors has led to the extinction of not just one or two dialects or subdialects. For example, we do not know how the ancient population of Ertso-Tianeti, Trialeti, or the historical Tori spoke. It has been studied that the contemporary Tianeti speech has evolved through the amalgamation of various linguistic codes, including

Pshavian, Khevsuretian, and Kakhetian subdialects, brought by migrating populations.

The temporary seasonal migration, of both mountaineers and the population of Western Georgia, occurring from late autumn until the arrival of spring in the mountains, not only facilitated familiarization with lowland traditions but also resulted in their adoption. This practice relatively prevented the long-term migration of the Svans, considering that the region could not sustain a larger population. Similar temporary internal migration processes were characteristic of Southwestern Georgia. For instance, the population of Imerkhevi would travel to Kola and Artaan to engage in summer work. They did not leave empty-handed, they brought out fruits that were not available in Kola-Artan, and brought wool for weaving clothes.

"The internal migration processes of the population in Georgia were primarily influenced by natural-geographical and economic factors, constituting one of the main reasons for the survival of the Georgian nation. These migrations played a crucial role in ethnic consolidation and the restoration of challenging demographic situations. The internal migration processes of the population in Georgia were primarily influenced by natural-geographical and economic factors, constituting one of the main reasons for the survival of the Georgian nation. These migrations played a crucial role in ethnic consolidation and the restoration of challenging demographic situations. Temporary seasonal migrations eventually gave way to permanent migrations. Residents of Imereti and Racha, who temporarily moved for work or trade had an opportunity to compare the economic and farming opportunities of their regions with those of Kartl and Kakheti. This comparison prompted them to make informed decisions, leading to permanent emigration. In the late Middle Ages, a slowdown in this process was observed in Samegrelo and Kvemo Imereti, because the surplus population of these regions were migrated abroad through slave trading.

თამთა მელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეხსიერება, ენა და ზეპირი ისტორიები საქართველოს გერმანულ დასახლებებში

მოხსენება ეყრდნობა ჩემივე შედგენილ წიგნს “თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში”, რომელიც 2017 წელს გამოქვეყნდა¹. წიგნი ოცდაექვსი ზეპირი ისტორიისგან შედგება, რომელიც საქართველოს გერმანულ დასახლებებში – ბოლნისში, ასურეთში, სართიჭალასა და თბილისში შევკრიბე. აქ არა მხოლოდ გერმანელთა შთამომავლების, არამედ ჩასახლებული, ეთნიკურად ქართველების ნაამბობობიცაა გაერთიანებული. ეს ისტორიები არა მხოლოდ გერმანული თემის შესასწავლადაა მნიშვნელოვანი, არამედ, ისტორიულ კონტექსტში, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თანაარსებობისა და ყოველდღიური ცხოვრების გასაგებადაც ღირებულია – ლინგვისტური, ეთნოგრაფიული თუ სხვა რაკურსებით.

წიგნში გამოყენებული მეთოდოლოგია – ზეპირი ისტორია, უნიკალური მეთოდია. ამ შემთხვევაში რესპონდენტის აზრთა მდინარეა თავისუფალია. ნარატორი არა მხოლოდ იხსენებს წარსულს, არამედ წარსულის მისეულ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს, რაც ზეპირ ისტორიას ყველაზე ხალხურ მეთოდად გადაქმნის - აქ ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების ხმა ყველაზე კარგად ისმის. ეს ის ხმებია, რომლებიც ოფიციალურ ნარატივებსა თუ გაბატონებულ დისკურსებში, როგორც წესი, ჩაკარგულია. აქ ასევე ყველაზე კარგადაა შენარჩუნებული მთხრობელის ავთენტური ხმა, რაც ზეპირ ისტორიებს არა მხოლოდ ისტორიკოსებისთვის, არამედ ლინგვისტებისთვისაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის.

ზეპირი ისტორიები მნიშვნელოვანია წარსულის რეკონსტრუირების მხრივაც. ჩემი რესპონდენტების ისტორიებში გამო-

¹ მელაშვილი, თ. (2017) *თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში*, გამომცემლობა ინტელექტი.

იკვეთა თემები, რომელიც მათ ნაამბობებში მეორდებოდა და დომინანტური იყო. წარსულის მეხსიერება ძირითადად დეპორტაციის, დეპორტაციამდელი და ასევე, გადასახლების შემდგომი ცხოვრების გარშემო ტრიალებდა.

გერმანელების დეპორტაცია სამხრეთ კავკასიიდან 1941 წლის ოქტომბერში განხორციელდა, როცა დახლოებით 47 000 ადამიანი გაასახლეს.¹ გასახლება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა, მსხვერპლიც ბევრი იყო. შესაბამისად, ამ მოვლენის ხსოვნა მტკივნეულია და ტრავმასთან ასოცირდება.

გადასახლებამდე ცხოვრებას რაც შეეხება, აქ რეპონდენტები გამოყოფდნენ დასახლებების ეკონომიკურ სიძლიერეს, გერმანელების შრომისმოყვარეობასა და დისციპლინას. დეპორტაციამდე არსებულ მშვიდობიან და კეთილ ცხოვრებასთან ასოცირდებოდა პარკები, იქ გამართული გართობისა და დასვენების პრაქტიკები: ცეკვა, სეირნობა, პიკნიკები.

ცხოვრება მეორე მსოფლიო ომის პირობებში და მას შემდეგაც არავისთვის ყოფილა ადვილი. საყოველთაო გაჭირვებაში გერმანულ დასახლებებში მეტწილად კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ, იყო დახმარებისა და ხელისგაწვდენის შემთხვევები, თუმცა რამდენიმე გერმანული წარმოშობის რესპონდენტმა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის და ჩაგვრის შემთხვევები გაიხსენა. ყველა მათგანი ბავშვობის დროინდელი შემთხვევა იყო, რაც სიტყვიერად და დამამცირებელი ტერმინებით შემოიფარგლებოდა. მაგალითად, რუსული ენიდან ნაწარმოები, ნაციონალობის აღმნიშვნელი სიტყვის “ნემეცის” დამახებით.

გერმანელების შთამომავალ რესპოდენტებთან დეპორტაციის შემდგომი მეხსიერება ყოველდღიური ცხოვრებიდან დედებსა და ბებებს უკავშირდებოდა.² მათზე მოგონებები მეტწილად ტიპიური გენდერული როლებით იყო შემოსაზღვრული. იხსენებდნენ მათ,

¹ Jishkariani, D. (2012, June) The main phase of ethnic deportations from the Georgian SSR during Stalin's era. In *Changing ethnic environment in Georgia*. Conference volume, (pp.67-85).

² აღსანიშნავია, რომ ეთნიკურად გერმანელ ქალებს, ვინც სხვა ეროვნებაზე იყო გათხოვილი დეპორტაცია არ შეხებიათ.

როგორც კარგ მზარეულებსა და დიასახლისებს, დეტალურად აღწერდნენ მათ მომზადებულ კერძებს და ნამცხვრებს, მათ დაუვიწყარ გემოებს.

აღსანიშნავია, რომ ნამცხვრების რეცეპტები, რომელსაც გერმანელი დედები და ბებიები აცხობდნენ, აქტიურად ზიარდებოდა ქართველ ქალებშიც. წიგნის ერთ-ერთმა რესპონდენტმა ბელა ბერძენაძემ ბოლნისიდან გერმანული ნამცხვირს „ცუქაქუხას“ (Zuckerkuichen) რეცეპტი ჩამაწერინა, რომელიც მას ბოლნისში დეპორტაციის შემდგომ ჩამოსახლებულმა ქართველმა დედამ ასწავლა. მას კი თავის მხრივ, რეცეპტი მეზობელი გერმანელი ქალისგან ჰქონდა ჩაწერილი.

ასურეთში შემორჩა, სავარაუდოდ, გერმანული წარმოშობის სიტყვა შალა – ასე ადგილობრივი ჯიშის ვაზს და ღვინოს მოიხსენებენ, რომელიც ასურეთული შავის სახელწოდებითაც არის ცნობილი. შალას წარმოშობის ათამდე ვერსია არსებობს, თუმცა მათ შორის მაინც შემდეგი ვერსია დომინირებს: ეს ვაზის ჯიში ადგილობრივმა გერმანელმა, გვარად შალმა (Schall) გამოიყვანა და სახელწოდებაც აქედან წარმოიშვა.

თბილისში კი, გარკვეულ წრეებში, ძალიან პოპულარული იყო გერმანელი ტანტეების ბალები (Tante – გერმანულად დეიდა). ეს იყო მოძრავი, კერძო ბალები, სადაც გერმანელი მასწავლებლები ასწავლიდნენ ქართველ, მეტწილად ადგილობრივი ინტელექტუალური ელიტის ბავშვებს. აღსანიშნავია, რომ ტანტეების ბალები საბჭოთა ბალებისგან სრულიად განსხვავდებოდა, აქ გერმანული ენის სწავლების გარდა, გართობისა და თამაშის განსხვავებული მეთოდები ჰქონდათ, რაც უშუალოდ ბავშვის განვითარებისკენ იყო მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული კოლონიები სხვა საბჭოთა ქვეყნებშიც არსებობდა, ტანტეების ბალებს მხოლოდ თბილისში ნახავდით.

ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელების მასობრივ დეპორტაციას დიდი ხნის წინ ჰქონდა ადგილი, საქართველოში მათმა ორსაუკუნოვანმა ცხოვრებამ კვალი ნამდვილად დატოვა, რაც, შესაბამისად აისახა ენასა თუ კოლექტიურ მეხსიერებაში.

Tamta Melashvili
Ilia State University

Memory, Language and Oral Histories in German Settlements of Georgia

My report is based on my own publication, *Told and Untold Histories: German Communities in Georgia*, which was released in 2017.¹ The book comprises twenty-six oral histories that I gathered from the German settlements of Bolnisi, Asureti, Sartichala, and Tbilisi. The book contains not only the narratives of the German descendants but also those of the ethnic Georgians who later were resettled in the region. These narratives hold significance not only for the exploration of the German community but also for comprehending the coexistence and everyday life of diverse ethnic groups within a historical context, encompassing linguistic, ethnographic, and other perspectives.

Oral history, as a methodology used in this book, serves as a distinctive approach wherein the respondents' thoughts flow freely. The narrators not only recall the past but also offer their own interpretations, making oral history the most colloquial method. It provides a platform for the voices of ordinary people, who are often overshadowed in official narratives or dominant discourses. The authenticity of the narrators' voices is also best preserved through this medium, thus rendering oral histories highly appealing to not only historians but also linguists.

Oral histories also hold significance in terms of reconstructing historical events. Within the accounts provided by my interviewees, repeatedly, certain themes dominated their narratives. Memory of the past primarily evolved around the experiences of deportation, life before the deportation, and the aftermath of the resettlement.

The massive deportation of the Germans took place in October 1941, resulting in the displacement of approximately 47,000 individuals

¹ Melashvili, T. (2017). *Told and Untold Histories: German Communities in Georgia*. Intelekti Publishing House. (in Georgian).

from the South Caucasus.¹ The eviction process transpired swiftly, leading to a high number of casualties. Consequently, the remembrance of the exile remains a painful and traumatic experience for many.

Concerning the pre-deportation period, respondents emphasized the robust economic status of the settlements, as well as the industriousness and discipline displayed by the Germans. The parks were synonymous with the serene and prosperous existence that prevailed before the forced removal and served as venues for various recreational and leisurely activities, such as dancing, strolls, and picnics.

Life during and after World War II proved to be challenging for everyone. Amidst widespread poverty, people of the German settlements displayed a sense of unity and camaraderie, where instances of assistance and support could be observed. However, it is important to note that some respondents of German descent did recount instances of discrimination and oppression based on ethnicity. These incidents primarily occurred during childhood and were limited to verbal insults or derogatory terms, such as the use of the word *Nemetz*, derived from the Russian language, to denote nationality.

For them, the recollection of life after deportation mainly focused on the significant role played by their German mothers and grandmothers in their everyday lives.² Memories predominantly revolved around traditional gender roles, as these women were remembered as skillful cooks and dedicated housewives. Respondents vividly described the delectable dishes and cakes prepared by these women, which left lasting impressions on them.

It is worth noting that the recipes for cakes made by German mothers and grandmothers were actively exchanged among resettled Georgian women. One of the respondents, Bela Berdzenadze from Bolnisi, carefully documented the recipe for the German cake

¹ Jishkariani, D. (2012, June) The main phase of ethnic deportations from the Georgian SSR during Stalin's era. In *Changing ethnic environment in Georgia*. Conference volume, (pp.67-85).

² It is worth mentioning that ethnic German women who were married to individuals of other nationalities were not subjected to deportation.

Zuckerkuchen, which had been passed down to her by her Georgian mother who resettled in Bolnisi after the deportation. In turn, the recipe was shared with her by a German woman.

Furthermore, the term *Shala*, which is likely of German origin, continues to be used in Asureti, to refer to the local grape variety and wine known as Asuretian Black. There are numerous theories about the origin of *Shala*, but the prevailing one suggests that it was introduced by a local German named Schall, and subsequently, the name derived from his surname.

In Tbilisi, there were mobile and private kindergartens known as Tantes' Kindergartens (Tante - aunt in German). These were mobile, private kindergartens where German teachers taught the children of the Georgian, largely local intellectual elite. It is worth noting that these kindergartens differed significantly from the Soviet-run ones, as they not only focused on teaching the German language but also employed distinct methods of entertainment and games that directly fostered the child's development. Interestingly, while German colonies existed in other Soviet countries, Tantes' kindergartens were exclusively found in Tbilisi.

So, even though the mass deportations of Germans took place a long time ago, their presence and influence during their two-century-long settlement in Georgia have undeniably left a lasting impact, which can be observed in the language and collective memory still dwelling in German settlements today.

ელენე ნაპირელი¹

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მიგრაცია ლაგოდებში – რამდენიმე ეპიზოდი ქართული პრესის მიხედვით

მე-20 საუკუნის საქართველოში სხვადასხვა მიგრაციული ტალღის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა დიალექტთა გეოგრაფიული გადანაწილების სურათი. ეს მიგრაციები სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბის იყო და, შესაბამისად, ქართული ეთნოკულტურული და ლინგვისტური სურათის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა როლიც ხვდათ წილად.

ამ მიგრაციის შედეგად კახეთის რეგიონში შეიქმნა კომპაქტურად დასახლებული იმერული სოფლები. ლაგოდების რაიონი ყველაზე მასშტაბური მიგრაციული ნაკადების მიღების მხრივ ერთ-ერთ გამორჩეულ რეგიონად იქცა.

ლაგოდებში სხვადასხვა დროს ჩამოსახლდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან: კახეთიდან, იმერეთიდან, რაჭიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, გურიიდან, მესხეთიდან.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ამ მიგრაციების შესახებ ცნობები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის ფურცლებიდან „ამოგვეკითხა“. აღსანიშნავია, რომ ქართული პრესა მიგრაციების ბევრ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის მიღმაც, უფრო ღრმა და დაფარული კონტექსტისა და კავშირების გაშიფრვაა შესაძლებელი.

როგორც ირკვევა, საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე, გარდა ქართველებისა, სახლდებოდნენ რუსებიც, რომელთა შესახებაც 1905 წლის „ცნობის ფურცლის“ №2791 ნომერში ვკითხულობთ: „მოახალშენე რუსობა მთავრობის მიერ ცნობილი იქნა იმ ადგილების მკვიდრ პატრონად. მას აქეთ ქართველებს აღარ

¹ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-21-336].

აძლევდნენ ადგილებს იჯარით დასამუშავებლად და იძულებული გახადეს სახაზინო ადგილები აეღოთ“ (გვ. 2).

1884 წელს „დროება“ (№89, 1) წერს: ლაგოდენში მცხოვრებ ქართველებს „... აქვთ საკუთარი მამულები და სახნავ-სათესი მიწები, რომლითაც უხსოვარის დროიდან სარგებლობენ“... ამავ წერილიდანაც ჩანს რუსების მიერ ქართველების შევიწროება: „სამხედრო მთავრობის განკარგულებით „ოსტავნოი სალდათებს“ მისცემიათ აქ მამულები და სახნავ-სათესი მიწები. ისინი ამბობენ, რომ მიწა, რომელზედაც ვსახლობთ, სახელმწიფო არის და სამხედრო მთავრობას მარტო „ოსტავნოი სალდათებისათვის“ მიუცია უფლება აქ მამულები იქონიონო, ქართველები რადგან ამ წოდებას არ ეკუთვნიან, ამისათვის არც უფლება აქვთ მამულები დაიჭირონ და აქ ჩვენთან იცხოვრონო... „ოსტავნოი სალდათების“ საზოგადოება ქართველ მოსახლეებს მიწის ქირასა და ღალასაც სთხოვს.

1910 წლის „სახალხო გაზეთის“ 77-ე ნომერში დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ „უცხო ელემენტების გარდა მიწებს იძენდნენ და იძენენ ადგილობრივი მცხოვრებნიც - განსაკუთრებით იმერლები და ოსები... სხვებს, მაგ., როცა ჩვენს ქვეყანაში ასახლებენ გერმანელებს, რუსებს ან სხვა უცხო ელემენტებს, მთავრობა პირიქით დახმარებას უწევს ფულით სახლ-კარის მოსაწყობად და რამდენიმე წლით გადასახად ხარჯისაგან ანთავისუფლებენ. ამათ კი - ლელიანელებს - არამც თუ დახმარებას არავინ უწევს, პირიქით, მრავალგვარ გადასახადებით სისხლსა სწოვენ და სამაგიეროდ ელემენტარულ მოთხოვნილებასაც კი არ უკმაყოფილებენ. მაგალითად, ამოდენა მცხოვრებნი დღესაც უსკოლოთ არიან და მათთვის საეკლესიო სასწავლებელიც კი დაუშურნიათ“.

1911 წლის „სახალხო გაზეთიდან“ ვგებულობთ, რომ „იმერლები კახეთში ალაზნის მარცხენა ნაპირზედ სოფლობრივ ცხოვრობენ და მათი რიცხვი ლელიანსა და კართუბნის საზოგადოებებში უკვე რამდენიმე ათასს უდრის, ერთს ნაწილს საკუთრებად აქვს შეძენილი საცხოვრებელი ალაგი (ლელიანელებს), მეორეთ იჯარით აქვთ აღებული თ. ვაჩნამეების მამული, წოდებული ქაბალად. ლელიანის საზოგადოებაში შედის 14 სოფელი:

სოფლის სახელწოდებანი	რიცხვი თვითეულ სოფელში ქალისა და კაცისა
1. ლელიანი	689 სული
2. ბალთა და ტაროშვილები	180 „
3. ონანაური	220
4. მზეჭაბუკიანი	197
5. ნაშოვარი	585
6. ვერხვის მინდორი	100
7. ფიჩხის ბოგირი	277
8. პატარა ნონა	70
9. ლაფანი	43
10. ქეხიანი	170
11. არეშნევიანი	313
12. ქვემო და შუა ხომტარიანი	361
13. მირეკისეული	101
14. ქვემო და ზემო ბოლქვი	523

სულ ამ 14 სოფელში ცხოვრობს - 3,780 სული ორივე სქესისა და თუ ამათ მივუმატეთ 905 ახლად მომატებული, მაშინ შეადგენს - 4,762 ს., რომელთაგან 1,923 სული იმერელია და დანარჩენი ე.ი., 2,762 ს. - ოსი.

ქაბალის საზოგადოება აერთიანებს 11 სოფელს, სადაც სულ სამი ეროვნების ხალხი ცხოვრობს; ესენი შეადგენენ რამდენიმე სოფელს და, ყველა ერთად, ერთ სამამასახლისოს:

სოფლები	ეროვნება	რიცხვი
1. ბოლოკონი	1. იმერლები	74 კომლი
2. ხელიკიანი	2. -	13 -
3. პატარა გორა	3. -	31 -
4. სხალ გორა	4. -	97 -
5. კარს უბანი	5. -	105 -
6. ბაისუბანი	6. -	89 -
7. თელა	7. -	75 -
8. ფონა	8. ოსები	50 -

9. ხეჩილა	9. –	38 –
10. ეშმაკის გორა	10. –	22 –
11. კართუბანი	11. თათრები	120 –

სულ 11 სოფელში - 718 კომლი

აქედან 484 კომლი იმერელია, 100 კომლი ოსი და 120 თათარი, თუ კომლზედ 5 სულს ვიანგარიშებთ საშუალოდ, მაშინ იმერლები შეადგენენ 2420 სულს, ოსები - 500, თათრები - 600.

ლაგოდეხის რიონში ჩამოსახლებები სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა. ამ პროცესს კარგად დაგეგმილი და გაცნობიერებული დამპყრობლური მიზანი ჰქონდა.

ქართველების ჩამოსახლებით კი ამ ტერიტორიაზე დარღვეული ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია აღდგა და, შეიძლება ითქვას, მხარე დაკარგვას გადაურჩა.

Elene Napireli

TSU Arnold Chikobava Institut of Linguistics

Migration in Lagodekhi - Several episodes from the perspective of the Georgian press¹

As a result of various migration waves in Georgia in the 20th century, the geographical distribution of dialects changed significantly. These migrations of distinct nature and scale, played different roles in the formation of the ethnocultural and linguistic landscape of Georgia.

As a result of this migration, densely populated Imeretian villages emerged in the Kakheti region. With Lagodekhi region becoming a prominent destination characterized by substantial influx of migrants.

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number FR-21-336]

At various points in time, migrants from almost every region of Georgia relocated to Lagodekhi: Kakheti, Imereti, Racha, Samegrelo, Svaneti, Guria, Meskheti.

The objective of our research was to “read out” the context of reports about these migrations from the pages of the Georgian press of the late 19th and early 20th century, it is noteworthy that the Georgian press covers various social and political issues of migrations, thus providing a platform to decipher deeper and hidden contexts and connections.

As evident from the study area, alongside the presence of Georgians, there were also Russian inhabitants, as documented in the entry #2791 of “Tsnobis Purtseli” from 1905: “New Russians were recognized by the government as the indigenous proprietors of those places. Georgians here were no longer given places for cultivation on lease, and they were forced to take treasury-designated places” (pg. 2).

On the pages of “Droeba” of 1884, we read that the Georgians living in Lagodekhi: “... have their own estates and arable lands, which they have used since the beginning of time” (Droeba 1884, N#89, 1). However, the same letter also shows the harassment of the Georgians by the Russians: “By the decree of the military government, the Ostavnoi Soldats were given estates and arable lands here. They say that the land we inhabit is state property and the military government exclusively grants the privilege of owning estates to “Ostavnoi Saldats”, since Georgians do not belong to this rank, they are denied the right to possess estates and live here with us... Moreover, “Ostavnoi Saldats” society demands land rent and land tax from Georgian residents.”

The issue #77 of the “Sakhalkho Gazeti” of 1910, reads – “In addition to foreign elements, local residents – especially Imeretians and Ossetians – have been acquiring and continue to acquire lands... In contrast, for example, when Germans, Russians or other foreign elements are resettled in our country, the government assists them by providing financial support for housing, they are also granted tax exemptions for several years. And these people - Lelianelebi - unfortunately receive no aid, on the contrary, they endure an oppressive

burden with various taxes, leaving their basic needs unmet. For example, a considerable number of residents remain without education, despite the absence of a church school”.

From the “Sakhalkho Gazeti” of 1911, we learn that the “Imeretian people inhabit the rural areas on the left bank of Alazani in Kakheti. The population of Imeretians in Lelian and Kartubani communities has already reached several thousand.

A part of them has purchased a part of the housing estate (the people of Lelian), and the other part has taken T. Vachnadze estate, known as Kabal, on lease. Lelian community encompasses a total of 14 villages:

Name of the Village	Number of Women and men in each Village
1.Leliani	669
2.Balta Da Taroshvilebi	180
3.Onanauri	220
4. Mzechabukiani	197
5. Nashovari	585
6. Verkhvis Mindori	100
7. Pichkhis Bogie	277
8. Patara Nona	70
9. Laphani	43
10. Qevkhiani	170
11. Areshnevriani	313
12. Qvemo Da Shua Khoshtariani	361
13. Mirekiseuli	101
14. Qvemo Da Zemo Bolqvi	523

In total, 3,780 persons of both sexes live in these 14 villages, and if we add 905 new ones to them, then it amounts to - 4,762 people, of which 1,923 people are Imeretian and the rest, i.e., 2,762 Ossetian people.

Kabali community unites 11 villages where people of three nationalities live; These constitute several villages, and all together one Samamasakhlo:

Villages	Nationality	Number
1.Bolokoni	1.Imeretians	74 Households
2.Khvlikiani	2.-	13-
3.Patara Gora	3.-	31-
4.Skhal Gora	4.-	97-
5.Kars Ubani	5.-	105-
6.Baisubani	6.-	89-
7.Tela	7.-	75-
8.Phona	8.Ossetians	50-
9.Khechila	9.-	38-
10.Eshmakis Gora	10.-	22-
11.Kartubani	11.Tatars	120-

A total of 718 households in 11 villages

Of these, 484 households are Imeretians, 100 Ossetians and 120 Tatars, if we calculate an average of 5 people per household, then Imeretians make up 2420 persons, Ossetians - 500, Tatars - 600.

Settlements in the Lagodekhi region took place for various reasons. The settlement of Russians had its own purpose. "In order to turn Georgia into a colony, Tsarist Russia settled Russians, Ukrainians

and Kuban Cossacks in a number of regions, including Lagodekhi region... As well as Ossetians and Armenians.”

The influx of Georgians in this region contributed to the restoration of the disturbed ethno-demographic situation, namely preventing the loss of these territories.

ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მიგრაციის ლიტერატურული პარადიგმა: ქალი ავტორების გამოცდილება

მიგრაციული ლიტერატურა კულტურული მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამდენად, მიგრაციული ლიტერატურის უმთავრესი საკითხები ეხება იდენტობის შესაძლო განსაზღვრებას, კულტურათა შორის სხვაობებს, თუმცა, ამავდროულად და დიდი ინტენსივობით, მშობლიური კულტურის გარე პერსპექტივიდან რეპრეზენტაციას. მიგრაციული ლიტერატურა ასახავს საკუთარსა და უცხო საერთო და განმასხვავებელი ნიშნებს. მიგრაციული ლიტერატურა წარმოადგენს „ხიდს“ მშობლიურ და სხვა სივრცეებს შორის.

ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია მიგრაციული გამოცდილების მქონე ქალი ავტორების შემოქმედებაზე დაკვირვება შემდეგი საკითხების მიხედვით:

- ეთნიკური, კულტურული და სხვა იდენტობები ქალი ავტორების ტექსტებში;
- ენა, როგორც არჩევანი ქალი ავტორების ლიტერატურულ ტექსტებში;
- კულტურული ადაპტაცია და ინტეგრაციის პრობლემები;

- მიგრაციული სივრცის მნიშვნელობა: სივრცე, როგორც გამოცდილება, სივრცე, როგორც შესაძლებლობა, სივრცე, როგორც ჩაკეტილობა.

ქალი ავტორების პერსპექტივა ლიტერატურათმცოდნეობაში განიხილება, როგორც ახალი გამოცდილება, განსხვავებული ხედვები. თანასწორობის იდეა, რომელიც ქალის საზოგადოებრივი როლის გაფართოებას ნიშნავს, საბოლოოდ და მყარად არ არის დამკვიდრებული. შესაბამისად, ის განსხვავებები, რომლებიც ისედაც არსებობს საზოგადოებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის, კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა განსხვავებული კულტურებში და აისახება მიგრაციული გამოცდილების ლიტერატურაში.

გამოკვლევაში ყურადღებას გავამახვილებთ მიგრანტი ქალი ავტორების: იოკო თავადა, ნინო ხარატიშვილი, ელენა (პეპი) ბოჭორიშვილი, ტექსტებზე. ვიმსჯელებთ ლიტერატურული სივრცის განზომილებებზე, იდენტობის დეფინიციებზე, თვითიდენტობისა და ინტერკულტურალობის საკითხებზე, საერთო და გაყოფილ კულტურულ სივრცეებზე.

Nino Popiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Literary Paradigm of Migration: The Experience of Female Authors

Migration literature is characterized by cultural diversity. Thus, the main issues of migration literature concern the possible definition of identity, the differences between cultures, however, at the same time and with great intensity, the representation of the native culture from an external perspective. Migration literature reflects the common and distinguishing features of the native and the foreign. Migration literature is a "bridge" between native and other spaces.

It is important for our research to observe the work of female authors with migration experience according to the following issues:

- Ethnic, cultural and other identities in the texts of female authors;
- Language as a choice in literary texts of female authors;
- Cultural adaptation and integration problems;
- Meaning of migration space: space as experience, space as opportunity, space as lockout.

The perspective of female authors in literary studies is considered as a new experience, different visions. The idea of equality, which means expanding the public role of women, is not finally and firmly established. Consequently, the differences that already exist between women and men in society are felt even more acutely in different cultures and are reflected in the literature on the migration experience.

In the research, we will focus on the texts of migrant female authors: Yoko Tawada, Nino Kharatishvili, Elena (Pepi) Bochorishvili. We will discuss the dimensions of literary space, definitions of identity, issues of self-identity and interculturality, shared and divided cultural spaces.

ზაქარია ფურცხვანიძე

ემპირიული ენათმეცნიერების ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი

ლევენშტაინის ალგორითმი მიგრაციებისა და ენობრივი ლანდშაფტების კონტექსტში

ლევენშტაინის დისტანციის მათემატიკური გაზომვა წარმოადგენს ფორმალურ სიმბოლოთა ჯაჭვის გაზომვის იმგვარ მეთოდს, რომლის გამოყენება ბუნებრივი ენობრივი მონაცემების ბაზაზე ლინგვისტურად ღირებულ შედეგებს იძლევა (Jurado-Bravo 2022; Sanders 2009; Wichmann at al 2010). ქართული ენის მასალის ლევენშტაინის მეთოდით გაზომვა აქამდე მხოლოდ დიალექტოლოგიურ კონტექსტში დასტურდება (Beridze at al 2018; ფურცხვანიძე 2023).



მოცემული კვლევის ფარგლებში დასმულია სამი მთავარი პრობლემა ლევენშტაინის გამოთვლისა და მიგრაციის ენობრივი შედეგების ერთ კონტექსტში მოქცევისას: (1) ვარგისია თუ არა ლევენშტაინის დისტანციის გამოთვლა მიგრაციის ლინგვისტური შედეგების დასაფიქსირებლად? (2) რამდენად მოქნილია ეს მეთოდი დამატებითი აღწერითი პერსპექტივის მოსაპოვებლად მიგრაციებზე დაკვირვების დროს? (3) საჭიროებს თუ არა ლევენშტაინის გაზომვების გამოყენება მეთოდურ ადაპტაციას მისი შიდა მიგრაციების შედეგად მიღებული ენობრივი სურათის აღწერისას?

მიგრაციების შედეგად წარმოქმნილი ენობრივი ლანდშაფტი განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ მიგრირებული დიალექტის წამომადგენლები სხვადასხვა დიალექტურ გარემოში ექცევიან და შესაბამისად, ენობრივი ზეგავლენის მსგავს ხარისხს, თუმცა განსხვავებულ გრამატიკულ მახასიათებლებს მოიცავს. მაგალითად, იმერულის შემთხვევაში გვაქვს შიდა მიგრაციის რამდენიმე მარშრუტი, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია გეოგრაფიული (ახლოს/შორს) და ქრონოლოგიური (ადრეული/გვიანდელი) პრინციპით. ქართული დიალექტური კორპუსის მეშვეობით შესაძლებელია იმერულის როგორც გეოგრაფიული, ისე ქრონოლოგიური მიგრაციების სურათის აღდგენა (იხ. სურათი 1. და 2.). ამგვარი ინფორმაციით იქმნება პირველი საფეხური ლევენშტაინის მეთოდით კვლევის გასაგრძელებლად. მიზანმიმართული, ნახევრად კონტროლირებადი სავლე ენობრივი ელიციტაციის ბაზაზე დგება სიტყვა-ფორმათა გეოკოლოკაციური სიები, რომელთა ბაზაზეც ხდება ლევენშტაინის დისტანციის გამოთვლა (მოცემულ შემთხვევაში) იმერული დიალექტური ვარიანტებისათვის მიგრაციის კონტექსტში. ლევენშტაინის გამოთვლის საშუალებით შესაძლებელია გეოგრაფიული დისტანციები იმერულის მიგრაციულ ვარიანტებს შორის „ვთარგმნოთ“ ენობრივ დისტანციებში. ამ მიზნისათვის google-ის CoLab-ში ღია რესურსის ფორმატით შეიქმნა „ლევენშტაინის აგრეგატი“¹, სადაც ნებისმიერ მო-



¹ „ლევენშტაინის აგრეგატი“ ავტორია გიორგი გოგელაშვილი, თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის 58

მხმარებელს შეუძლია ამ თეზისში აღწერილი სცენარით ატვირთოს საკუთარი ენობრივი მასალა და მიიღოს ლევენშტაინის მატრიცა. მატრიცის ვიზუალიზებისთვის ერთ-ერთი გონივრული ფორმაა დენდროგრამა, სადაც ლინგვისტური სიახლოვე-სიშორის მიხედვით ენობრივი ვარიანტების დაჯგუფება (კლასტერები) აღიბეჭდება. (სურათი 3.).

სურათი 1. იმერულის მიგრაციები დიალექტური კორპუსის მიხედვით



წერეთელი, მარნეული, ქვემო ქართლი წიფლისწყარო, კახეთი, ლაგოდეხი



ხეოთი, ახალ-ციხე, სამცხე-ჯავახეთი

ჭიკანაი, ყვარელი, კახეთი




ფაკულტეტის ბაკალავრი, ggoge19@freeuni.edu.ge და მიწვდომადია:
<https://colab.research.google.com/drive/1Sq4bBavEV8RgJV3sO3wZj8cD7yIM1UGz#scrollTo=eb1b72a7>.

სურათი 2. იმერულის მიგრაციის ერთი გეოგრაფიული ქრილი



სურათი 3. იმერულის მიგრაციული ვარიანტების დაჯგუფების სიმულაცია ლევენშტაინის პირობითი მატრიცას ბაზაზე

Region	dis1	dis2	dis3	dis4
Chikaani (qvareli)	8	190	50	45
Cipilscqaro (lagodexi)	9	276	91	40
Cereteli (kvemo kartli)	276	245	32	678
Kutaisi (imereti)	11	23	2	23
Xeoli (samcxre-dshavaxeti)	273	234	23	623



ლევენშტაინის მეთოდი ბუნებრივი ენობრივი მასალის გასაანალიზებლად საჭიროებს სპეციალური თეორიულ ჩარჩოს, სადაც წინდაწინაა დადგენილი, რა კრიტერიუმებით ხდება გაზომვის შედეგების ლინგვისტური ინტერპრეტაცია. მიგრაციების კონტექსტში გეოკოლოკაციური ასპექტი ქრონოლოგიურ განზომილებასთან ერთად მთავარ საანალიზო ჩარჩოს ქმნის.

Zakharia Pourtskhvanidze

Institute of Empirical Linguistics. Goethe University

Levenshtein algorithm in the context of changing linguistic landscapes due to migrations

The Levenshtein distance is one of the formal string metrics that can be successfully applied to natural language data. (Jurado-Bravo 2022; Sanders 2009; Wichmann et al 2010). In Georgian linguistics, the method has so far only been used in the field of dialectology (Beridze et al. 2018; ფურცხვანთძე 2023). Three relevant questions were formulated in the context of the present research: (1) Is the Levenshtein method also suitable in the context of analysing the linguistic landscape, which is the result of migration? (2) To what extent can the method offer a scientifically valuable perspective? (3) Does the method need to be modified or adapted when used in the context of migration? In the talk, the examples with Imeretian will be presented and the Levenshtein calculations will be simulated in relation to migration variants of Imeretian dialect.

Sources:

1. Jurado-Bravo, María Ángeles. (2022) "Exploring the Use of Levenshtein Distances to Calculate the Intelligibility of Foreign-accented Speech". *Cognitive Sociolinguistics Revisited*, (ed.) Gitte Kristiansen et al., Berlin, Boston: De Gruyter Mouton, 2022, pp. 153-164.
2. Sanders NC, (2009) Chin SB. Phonological Distance Measures. *J Quant Linguist.* 2009;16(1):96-114.
3. Wichmann Søren, Eric W. Holman, Dik Bakker, Cecil H. Brown, (2010) Evaluating linguistic distance measures, *Physica A: Statistical Mechanics and its Applications*, Vol 389, Issue 17, 2010, pp. 3632-3639. Beridze, M., Bakuradze, L, Pourtskhvanidze, Z., (2018)

Interactive Visualization of Dialectal Lexis Perspective of Research Using the Example of Georgian Electronic Dialect Atlas. In: Lexicography in Global Context. 936-944.

4. ფურცხვანიძე, ზაქარია 2023 კორპუსულ მონაცემებზე ორიენტირებული დიალექტომეტრია (შესაძლებლობები და მისი გამოყენების სცენარები ქართულში). გვ.23-25. ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 2023 წლის 10-11 მაისი.

თეა ქამუშაძე

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მიგრაციული პროცესები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსთავეში

ქალაქი რუსთავე საქართველოში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ცარიელ ადგილზე გაშენდა. მისი მშენებლობის ინიციატორი და ნათლია საბჭოთა სისტემა იყო. შესაბამისად, ის, თუ რა და როგორ მოეწყობოდა ქალაქში, მისი არჩევანი და გადაწყვეტილება იყო. საბჭოთა სისტემის დანგრევიდან სამ ათეულზე მეტი წელი გავიდა, თუმცა ქალაქის სახესა და მის ტრანსფორმაციას დღემდე ეს ფაქტორი განაპირობებს. ამდენად, ქალაქთან მიმართებით გამოვიყენებ ტერმინებს, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა, რომელიც მიგრაციული პროცესების აღწერისათვის დაგვჭირდება. ინდუსტრიული ქალაქის არსებობის მანძილზე, აქ მუდმივად მიმდინარეობდა მიგრაციული პროცესები, თუმცა მათი ყველაზე ფართო კატეგორიზაცია იქნებოდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა.

რუსთავის მაგალითზე მიგრაციის საკითხებსა და მათ თავისებურებებს საქართველოში განვიხილავ, როგორც ერთიან პროცესს, რომელიც რეგულირდებოდა, თუმცა ქალაქში „ჩამოსვლის“ ნარატივების ოფიციალური და არაოფიციალური ვერსიები საინტერესოდ სცდება და ერწყმის ერთი მეორეს.

მოხსენებაში განვიხილავ მიგრაციულ ნარატივებს, როგორც ქალაქის საბჭოთა „გენეზისთან“, ისე მის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პროცესთან კავშირში. მიგრაციის ინტენსივობის ხარისხი და მისი მახასიათებლები ქმნიდა და ქმნის ქალაქის სახეს მთლიანობაში.

დასკვნის სახით მოხსენებაში შეჯამებული იქნება მიგრაციული პროცესების კვალი ქალაქის ურბანულ სივრცეში და მათი ვერბალიზაციის შესაძლებლობები, როგორც მოსახლეობის, ისე ფორმალური აქტორების მიერ. განხილული იქნება მიგრაციულ ნარატივებზე რეფლექსიის ხარისხი და რეპრეზენტაციის გზები ქალაქის ურბანულ გარემოში. ასევე ის, თუ რა გამოცდილებას ქმნის ერთი კონკრეტული ქალაქი, ქვეყნის მასშტაბით მიგრაციულ პროცესებზე სასაუბროდ.

Tea Kamushadze

TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Migration processes in Soviet and post-Soviet Rustavi

The city of Rustavi, located in Georgia, was constructed on a vacant site following the Second World War under the auspices of the Soviet system. Consequently, the organization and development of the city were dictated by the directives of this regime.

Although more than three decades have elapsed since the collapse of the Soviet system, its legacy continues to shape the urban landscape and evolution of Rustavi. Henceforth, in discussing urban phenomena, the terms "Soviet" and "post-Soviet" are pertinent, particularly in delineating migration patterns. Migration has been a constant feature of the city's existence, broadly classified into Soviet and post-Soviet eras.

Using Rustavi as a case study, I examine migration dynamics and their nuances in Georgia as a cohesive process subject to regulation. Notably, both official and unofficial accounts of migration narratives intersect intriguingly in the city's lore.

The forthcoming report will explore migration narratives in the context of Rustavi's Soviet origins and its subsequent post-Soviet metamorphosis. The intensity and characteristics of migration have profoundly influenced the city's overall fabric.

In conclusion, the report will synthesize the imprint of migration processes on Rustavi's urban landscape and explore avenues for their articulation, both by residents and institutional stakeholders. Moreover, it will delve into the degree of introspection regarding migration narratives and modes of representation within the city's urban milieu. Additionally, it will assess how Rustavi's experiences contribute to a broader discourse on migration across the nation.

გიული შაბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქართველი ემიგრანტების ენობრივი და კულტურული ქცევა (ნიდერლანდებში ქართული დიასპორის შემთხვევის ანალიზი)

მულტილინგვიზმი და მულტიკულტურალიზმი თანამედროვე გლობალური სამყაროს მთავარი მახასიათებლებია, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა დიასპორის ჩამოყალიბებას. ევროპული ქვეყნები იქცნენ მთავარ ცენტრებად, რომლებმაც კარი გაუღეს ემიგრანტებს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის აზიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამ ქვეყნების რიცხვშია, ასევე, საქართველო. 2022 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ემიგრანტების რაოდენობამ საქართველოში 125 269 ადამიანი შეადგინა, რაც მთლიანი მოსახლეობის 25,3%-ზე მეტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ემიგრანტების 86.7% მიეკუთვნება ასაკობრივ ჯგუფს 15-დან 64 წლამდე.

კვლევის მიზანია ნიდერლანდებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ლინგვისტური და კულტურული ქცევის შესწავლა. კერძოდ, ნაშრომში მოცემული და შესწავლილია ის ძირითადი

განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი სამიზნე ჯგუფის აკულტურაციის პროცესზე, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაზე, ეროვნული ცნებებისადმი დამოკიდებულებაზე და მშობლიური და მასპინძელი ენების ცოდნისა და გამოყენების შემთხვევებზე.

მოხსენებაში პასუხი გაცემულია შემდეგ საკვლევ შეკითხვებზე:

RQ1: რა გზით ინარჩუნებენ ქართველი ემიგრანტები მშობლიურ კულტურას? რა კონკრეტულ ტრადიციებს იცავენ ისინი?

RQ2: როგორ აღიქვამენ სამშობლოს?

RQ3: როგორ აღიქვამენ ქართველობის ცნებას?

RQ4: რა დონეზე ფლობენ ქართულ, ჰოლანდიურ და ინგლისურ ენებს?

RQ5: რამდენად ხშირად იყენებენ ისინი ქართულ და ჰოლანდიურ/ინგლისურ ენებს და რა კონტექსტში ან ვითარებაში? რა განაპირობებს ამა თუ იმ ენის არჩევანს?

RQ6: როგორია მათი იდენტობა და რა აყალიბებს მათ ეროვნული იდენტობის გრძნობას?

კვლევაში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: თვისებრივი შემთხვევის შესწავლა; ეთნოგრაფიული დაკვირვება; შინაარსობრივი და თემატური ანალიზი; ენის ფლობის დონის თვითშეფასება; ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები; ბიოგრაფიული მეთოდი (ენობრივი ბიოგრაფია); ენობრივი ტრექტორიის და გავლენის შესწავლა მონაწილეთა ცხოვრებაზე.

კვლევა ეფუძნება შემდეგ თეორიულ ჩარჩოს: ვანკუვერის აკულტურაციის ინდექსი (VIA), ბილინგვიზმისა და ემოციების კითხვარი (BEQ) და სამშობლოს ცნების აღქმის განსაზღვრა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამმა ოჯახმა, შესაბამისად, ნაშრომი ატარებს წინასწარი კვლევის ხასიათს.

მიღებული შედეგები: ქართული ტრადიციებიდან ოჯახები ძირითადად მისდევენ ქართული სუფრის ტრადიციასა და აღნიშნავენ მართლმადიდებლური შობის დღესასწაულს. უმეტესობისათვის ქართველობის ცნება მათთვის ასოცირდება ოჯახთან, ქარ-

თულ ენასთან, ქართულ სიმღერასთან. გამოკითხულთა უმეტესობა ფლობს ქართულ ენას და ოჯახში საუბრობენ ქართულ ენაზე, ენობრივი არჩევანი დამოკიდებულია ვითარებასა და სასაუბრო თემაზე. რაც შეეხება კულტურულ იდენტობას, უმეტესობა თვლის, რომ ისინი არიან როგორც ქართული, ისე ჰოლანდიური კულტურის მატარებლები.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ოჯახური მულტიკულტურალიზმი და ოჯახური ენობრივი პოლიტიკა გააზრებული ფენომენია და დამოკიდებულია წინასწარ გაკეთებულ არჩევანზე.

Giuli Shabashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Linguistic and Cultural Behavior of Georgian Emigrants

(Case Study of Georgian Emigrants in the Netherlands)

In the contemporary global context, the noteworthy features of multilingualism and multiculturalism have gained prominence, primarily propelled by ongoing and intense migration processes that amalgamate diverse diasporas. European nations have evolved into significant centers by welcoming refugees from various regions, including Asia and Eastern Europe. A similar trend is observable in Georgia, where a considerable number of individuals have emigrated. Statistical data from 2022 reveals that the emigrant population in Georgia stands at 125,269 individuals, constituting more than 25.3% of the total population. Notably, 86.7% of these emigrants fall within the workforce age group of 15-64.

The research aims to investigate linguistic and cultural trends among Georgian emigrants currently residing in the Netherlands. Specifically, the study seeks to elucidate the key factors influencing the acculturation process within this specific demographic. It involves an analysis of their retention of national identity, attitudes toward national concepts, and proficiency, usage, and familiarity with both their native and host languages.

The paper aims to address the following research questions:

RQ1: In what ways do Georgian emigrants preserve their native culture? What specific traditions do they uphold?

RQ2: What are their perspectives regarding concepts associated with their homeland?

RQ3: What is their perception of Georgianness?

RQ4: What is the extent of their language proficiency in both Georgian and Dutch/English?

RQ5: How frequently do they use the Georgian and Dutch/English languages, and in what contexts or situations? What triggers their language choice?

RQ6: How do they self-identify, and what shapes their sense of national identity?

The research will employ a diverse array of methodological approaches, including but not limited to: Qualitative Case Study; Ethnographic Observation; Content and Thematic Analysis; Language Assessment; Semi-Structured Interviews; Biographical Method (Language Biography): Exploring the language trajectory and influences throughout the participants' lives.

The research employed the Vancouver Index of Acculturation (VIA), the Bilingualism and Emotions Questionnaire (BEQ), and the previously discussed methodologies about the concepts connected to the homeland.

Three families participated in the study; hence, the research possesses a preliminary nature.

Findings indicate a strong adherence to Georgian traditions among the families, particularly in terms of following the Georgian table practices and celebrating Orthodox Christmas. The participants associate the concept of Georgianness with family ties, the use of the Georgian language, and engagement with Georgian songs. In their households, the majority converse in Georgian, with the choice of language influenced by the situation and topic of discussion. Regarding cultural identity, most respondents perceive themselves as carriers of both Georgian and Dutch cultures.

In conclusion, family multiculturalism and language policy are deliberate choices, reflecting conscious decisions made by the participants.

Bibliography

Mavroudi, E. (2020). Feeling Greek, speaking Greek? National identity and language negotiation amongst the Greek diaspora in Australia. *Geoforum*, 116, 130–139.

National Statistics Office of Georgia. (2023). Number of Population as of January.

Panicacci, A. (2019). Do the languages migrants use in private and emotional domains define their cultural belonging more than the passport they have? *International Journal of Intercultural Relations*, 69, 87–101.

Ryder, A. G., Alden, L. E., & Paulhus, D. L. (2000). Is acculturation unidimensional or bidimensional? A head-to-head comparison in the prediction of personality, self-identity, and adjustment. *Journal of Personality and Social Psychology*, 79(1), 49–65.

State Commission on Migration Issues of Georgia. (2021). Migration Profile of Georgia.

Surmanidze, L., & Tsuladze, L. (2008). The formation of nation-state and cultural identity: A Georgian perspective. *IBSU Scientific Journal (IBSUSJ)*, 2(2), 86–102. ISSN 1512-3731.

Testa, S., Doucerain, M. M., Miglietta, A., Jurcik, T., Ryder, A. G., Gattino, S. (2019). The Vancouver Index of Acculturation (VIA): New evidence on dimensionality and measurement invariance across two cultural settings. *International Journal of Intercultural Relations*, 71, 60–71.

ნატო შავრეშიანი, მედეა საღლიანი

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მიგრაციის ენობრივი შედეგები ეკომიგრანტ სვანთა მეტყველებაში

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება გასული წლის (2023) დეკემბერში ქვემო ქართლის რეგიონის სოფელ ჭივჭავში სხვადასხვა ასაკისა და სქესის ინფორმატორებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები სოციოლინგვისტური კითხვარებისა და მეთოდოლოგიის ყველა ასპექტის გათვალისწინებით. შესადარებლად გამოყენებული იქნება ამავე რეგიონში 20 წლის წინ (2003-2004 წლების) შესწავლილი და გაანალიზებული მონაცემები, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მიგრაციული პროცესებით გამოწვეული (გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი) სამეტყველო კოდების ფუნქციონირებისა და კოდების გადართვის ასპექტებს.

ყურადღება გამახვილდება როგორც შიდა (ანუ ლაშხურ-ჩოლურულ), ასევე გარე (სვანურ-ქართულ) ენობრივ ურთიერთგაქვანებზე და ამ გავლენების შედეგებზე, რაზეც მოხსენებაში დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ინფორმატორები არიან თეთრწყაროში, კერძოდ, ჭივჭავში, ჩასახლებული ქვემოსვანები (ლაშხელები და ჩოლურელები), რომლებიც 1987 წლიდან თანაცხოვრობენ ქვემო ქართლში როგორც ერთმანეთთან, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან. რასაკვირველია, ეს თანაცხოვრება დროთა განმავლობაში მათ მეტყველებაზეც მკვეთრად აისახა.

რესპონდენტები დაეყავით სამ ასაკობრივ ჯგუფად (17 წლამდე მოზარდები, საშუალო და უფროსი ასაკისა -50 წელს ზემოთ), რაც ცხრილის სახით იქნება მოხსენებაში წარმოდგენილი.

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, სვანურ-ქართული სამეტყველო კოდები თანაარსებობენ ზეპირი კომუნიკაციის ყველა სფეროში. თუკი 20 წლის წინანდელ გამოკითხვებში დომინანტი სვანური იყო, ახალი მონაცემების მიხედვით საგანგაშო მდგომარეობა შეინიშნება. ასაკობრივმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ სვანური ენა

როგორც ოჯახში, ასევე თემში (საშუალო და უმცროსი თაობების მეტყველებაში) თითქმის ჩანაცვლა ქართულმა, ხოლო უფროსი თაობა კვლავაც ინარჩუნებს სვანურს და სვანურად მეტყველების პროცენტული მაჩვენებელი სწორედ ხანდაზმულებზე მოდის.

Nato Shavreshiani, Medea Saghliani

TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics

Linguistic consequences of migration in the speech of ecomigrant Svans

The article presents the results of a survey conducted with informants of different ages and genders in December of last year (2023) in the village of Chivchavi, Kvemo Kartli region, taking into account the functioning of Svan-Georgian speech codes, the sociolinguistic mechanism of their alternation, the types of code-switching, etc. For comparison, the data studied and analyzed in the same region 20 years ago (2003-2004) are used, which shows even more clearly the aspects of speech code functioning and code-switching caused by migration processes (consciously or unconsciously).

We focus on both internal (i.e. Lashkhan-Cholur) and external (Svan-Georgian) linguistic mutual influences and the consequences of these influences, which we will discuss in more detail below.

The informants are the Svans from Lower Svaneti (Lashkheti and Cholur) settled in Tetriskaro, namely Chivchavi, who have been living in Kvemo Kartli both with each other and with the local population since 1987. Obviously, this coexistence affected their speech over time.

We divided the respondents into three age groups (adolescents under 17, middle-aged and older people, and over 50 years old). The results will be presented in a table format in the article.

As the survey showed, Svan-Georgian speech codes coexist in all forms of oral communication. If Svan was dominant in the surveys 20 years ago, the current findings indicate an alarming situation. According

to age studies, Svan has almost entirely been replaced by Georgian both in the family and community (in the speech of the middle and younger generations), while the older generation still preserves Svan, and they speak it in a significant percentage.

ლაშა შაყულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ოქსფორდის უნივერსიტეტი

საქართველოს ებრაელთა ლინგვისტური მოზაიკა და „ვეფხისტყაოსანი“ იდიშურ ენაზე

საქართველოს თანამედროვე ებრაული თემი სხვა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობებისგან განსხვავებით, ოდითგან თითქმის სრულად ქართულენოვანი იყო, თუმცა აშკენაზურმა ანუ ევროპული წარმოშობის ებრაულმა თემმა საქართველოს იუდეველთა ლინგვისტურ მოზაიკაში მნიშვნელოვანი მრავალფეროვნება შემოიტანა.

საქართველოში აშკენაზი ანუ ევროპული წარმოშობის მქონე იუდეველები 1801 წლიდან შემოდინან ევროპიდან, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის თბილისში მათი რაოდენობა სხვა ებრაული ჯგუფების რიცხოვნებას უკვე მნიშვნელოვნად აღემატება. 1804 წელს საქართველო რუსეთის იმპერიის მიერ ებრაელებისათვის დაწესებულ „განსახლების არეალში“ ექცევა და საქართველოს ტერიტორიაზე დასახლება მეტ აშკენაზ ებრაელს შეუძლია, რომლებიც ბათუმის, სოხუმის და თბილისის აშკენაზურ მოსახლეობას უერთდებიან. საქართველოში ჩამოსულები აქამდე არნახული თავისუფლებით აგრძელებენ ებრაული წეს-ჩვეულებების ღიად დაცვას და, რაც მთავარია, იდიშურ ენას არათუ ივიწყებენ, არამედ პირიქით - უფრო აქტიურად იყენებენ.

1897 წლის მონაცემებით, თბილისის იდიშურენოვანი თემი 3,668 ადამიანს შეადგენდა. მათი უმრავლესობა განათლებას თბილისის იდიშურენოვან სკოლებში იღებდა. თბილისის იდიშურენოვანი საგანმანათლებლო სისტემის შესახებ 1922 წლის 28 ივლისს ჩიკაგოში გამოცემული გაზეთი „სენტინელი“ გვიყვება: „ტიფლისის სკოლების სრული იდიშიზაციისაგან თავის ასარიდებლად განათლებლის კომისარმა გადაწყვიტა, რომ იმ სკოლებში, სადაც ებრაელი მოწაფეები უმრავლესობაში არიან, იდიშური ენა არ უნდა იყოს სწავლების მთავარი ენა“. სტატიაში ასევე ვკითხულობთ, რომ ადგილობრივმა ეთნიკურად ქართველმა ჩინოვნიკებმაც დაადასტურეს, რომ ებრაელ ბავშვთა უმრავლესობა იდიშურ ენას იქამდე ითვისებდნენ, სანამ რუსულ ენას შეისწავლიდნენ. თბილისში, იდიშური სკოლების გარდა, საკმაოდ მძლავრი იდიშური თეატრიც ფუნქციონირებდა, რომელსაც ბინა თანამედროვე მარჯანიშვილის თეატრში ჰქონდა და სპექტაკლებს ნიუ იორკისა და ვარშავის იდიშური თეატრების პროგრამის მიხედვით დგამდა.

იდიშური კულტურისა და ენის ხელშეწყობა, ცოცხალი იდიშურ-ქართული კულტურული ურთიერთობები როგორც იდიშური თემისთვის, ასევე ქართული საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, „ვეფხისტყაოსნის“ იდიშური თარგმანი საქართველოში სწორედ იდიშური ენის კულტურული როლის ტრადიციული გაგრძელებაა.

სანამ იდიშურ თარგმანს შევხებით, რამდენიმე სიტყვა რუსთაველის ივრითულ თარგმანზეც უნდა ვთქვათ. ბორის გაპონოვმა "ვეფხისტყაოსანი" ივრითულ ენაზე 1966 წელს თარგმნა. უკრაინაში დაბადებული გაპონოვი სამი წლის იყო, როცა 1937 წელს, მის მშობლიურ უკრაინაში, უკრაინელი და იდიშურენოვანი პოეტის, დოვიდ ჰოფშტეინის დაულალავი შრომით - "ვეფხისტყაოსანი" იდიშურ ენაზე გამოიცა. ტირაჟი საკმაოდ მაღალი იყო და გამოცემის ეგზემპლარები დღემდე არაერთ საცავსა თუ პირად კოლექციაშია დაცული. ჰოფშტეინის იდიშური თარგმანის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მან წიგნს, შოთა რუსთავე-

ლისა და მისი ეპოქის საკმაოდ ვრცელი და საინტერესო აღწერილობაც დაურთო; თითქმის 10 გვერდი და, რა თქმა უნდა, იდიშურ ენაზე.

ჰოფშტეინის იდიშური „ვეფხისტყაოსანი“ და მისი შესწავლა საქართველოს ებრაელთა იდიშურენოვანი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ფაქტორების დაფიქსირების საშუალებას გვაძლევს. 2022 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იდიშური ენის სწავლების შემოღება და 2023 წელს თბილისის იდიშური თეატრის აღდგენა მნიშვნელოვანი მოვლენებია იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად ძლიერია საქართველოს იდიშურენოვანი მემკვიდრეობა.

Lasha Shakulashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
The University of Oxford

Yiddish “Vepkhistkaosani” and Georgia’s Jewry’s linguistic mosaic

Georgia’s contemporary Jewish community is predominantly Georgian-speaking, especially if compared to other ethnic and religious minorities residing in Georgia. Nevertheless, among various Jewish communities of Georgia – the Ashkenazi Jews have enriched a linguistic mosaic of Georgia’s Jewry.

Large groups of Ashkenazi Jews start moving to Georgia in 1801. During the 19th century, Ashkenazi Jewry is the largest Jewish community in Tbilisi. In 1804, Georgia becomes part of the “Pale of Settlement” under the Russian Empire, which allows more Ashkenazi Jews to relocate to Georgia, especially to Batumi, Sokhumi and Tbilisi. Newcomers are impressed with how freely they can exercise their Jewish customs and also utilize Yiddish language more than they had been able to.

In 1897, the Yiddish-speaking community of Tbilisi had 3,668 members. Most families sent their children to Yiddish-speaking schools, raising concern among the Communist-run state schools. The situation

was reported in the Chicago-based newspaper “The Sentinel” on July 28, 1922, referring to Tbilisi by as Tiflis: “To prevent the Yiddishizing of the public schools of Tiflis, the commissary of education of that place ruled that Yiddish shall not be the language of instruction in schools having a majority of pupils.” The article went on to explain, however, that Georgian officials did agree that “the majority of Jewish children acquire a knowledge of Yiddish before they learn Russian.” Apart from Yiddish-speaking schools, Tbilisi also prided itself with a magnificent Yiddish Theatre, which operated under the auspices of modern-day Kote Marjanishvili State Drama Theatre. Tbilisi’s Yiddish Theatre copied plays offered at Warsaw’s and New York’s Yiddish theaters.

Boris Gaponov translated “Vepkhistaosani” from Georgian to Hebrew language in 1966. Gaponov was born in Ukraine in 1934. Three years later, in 1937, Ukrainian and Yiddish port, Dovid Hofshateyn published his translation of “Vepkhistaosani” in Yiddish language. Volume of the Yiddish version of “Vepkhistaosani” was quite high and it can be found at various archives or private collections. Hofshateyn’s work is especially valuable due to him enclosing a brief and informative overview of almost ten pages on Shota Rustaveli’s biography, as well as the period of time when “Vepkhistaosani” was written.

Analyzing Dovid Hofshateyn’s “Vepkhistaosani” enables to shed light to a some of the most interesting aspects of Georgia’s Jewry’s linguistic mosaic. Opening of Yiddish language courses at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2022, as well as reopening of Tbilisi’s Yiddish Theatre are crucial elements to analyze how powerful Georgia’s Yiddish-speaking legacy is.

მერაბ ჩუხუა

თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

ზოგი კულტურული ტერმინის მიგრაციათა მიმართულებისათვის

როგორც წესი, კულტურულ ტერმინთა მიგრაციას ან სიტყვათა სესხებას განაპირობებს საჭიროება, მოთხოვნილება. ერთი ენიდან მეორეში სესხების გზაზე პირველი და აუცილებელი პირობაა კონტაქტი ორ ან მეტ ენას (საზოგადოებას) შორის; ცხადია, როდესაც ერთი სამეტყველო საზოგადოება კონტაქტში შემოდის მეორესთან, წევრები ხშირად ხვდებიან ახალ ობიექტებსა და იდეებს, რომლებიც შესაძლოა არ არსებობდნენ მათს ენებსა და კულტურებში, ამიტომაც მათ დასჭირდებათ სახელ-ტერმინები მათთვის ახალი ცნებებისთვის, ტექნოლოგიებისათვის. ამდენად, კულტურულ ტერმინთა მიგრაციების პრობლემა აქტუალური ჩანს არქაული (პრეისტორიული) პერიოდებიდან დღემდე.

როდესაც მოურთიერთობე საზოგადოებები დიდი ხნის განმავლობაში, ერთმანეთში ცვლიან ადათ-წესებსა და იდეებს და იწყებენ მომიჯნავე ენებიდან მათთვის უცნობი, მაგრამ საჭირო სიტყვებისა და ტერმინების გამოყენებას, ტრადიციულად, ენობრივი მომხმარებლები არჩევენ უცხო ტერმინების შემოტანა-ხმარებას, ვიდრე ხელახალი ტერმინების გამოგონება-შექმნას. ენათმეცნიერებაში ენებს, საიდანაც (სადაც) ესა თუ ის კულტურული სიტყვა წარმოიშვა, უწოდებენ საწყის ან წარმოშობა ენას. თუმცა ყოველთვის არ არის გამჭვირვალე ამათუიმ კულტურული ტერმინის წარმოშობის ადგილი, მიგრაციის გზები თუ მიმართულებები; მითუფრო, მაშინ, როდესაც საქმე ეხება დისტანციურად მეტად დაშორებულ ენებსა და ხალხებს. ჩვენს მოხსენებაში სწორედ ამგვარი შესაძლებლობის რამდენიმე ნიმუში იქნება განხილული. ქართ. **გუთ-ან-**, **გუთ-ან-** „გუთანი“, „გუთანი სომხურია, ქართულად ერქვანი ეწოდების...“ (საბა)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში; ამავდროულად დასტურდება გარემომცველ ენებში: ჩეჩნ. **გუṛთა**, ინგ. **გუṛთა**,

ხუნძ. ქუთან, დარგ. გუთან / ლუთან / ქუთან, ად. ქუთან, არჩ., ბუდ. ქუთან, თაბ. ქუთან, კრიწ. ქუათან, ლეზგ. ქუთენ, აფხ. ა-კუათან(ნ)ა, აბაზ. კუათან, ოს. გუთონ / გოთონ, სომხ. გუთან, აზერ. ქოთან „გუთანი“ და სხვ.

2. სვან. ფაყუ „ქუდი“ თითქოს ქართ. (იმერ.) ფაყე-ე „ფართო, დიდი ტანსაცმელი“ და ზან. (მეგრ.) ფუყ-ე „ფართო, ზომიერ დიდი ტანსაცმელი“ ალომორფთა შესატყვისია. იზოგლოსებს ვხედავთ მონათესავე დაღესტნურ (ახვ. (სამხრ.) ყაფა, ბოთლ. ყაბა-ლა, კარ. ყუაფა/ყაფა, ტინდ. ყუაფა „ქუდი“, ბეჟ. ბაყი „ქუდი“, დარგ. ყაპა / ახუშ, ჩირ. ყაფა „ქუდი“, ლეზგ. ყეფე „ქუდი“, წახ. ყაფა „ღამის ქუდი“, შდრ. კრიწ. ბაკკ „წოწოლა ქუდი“) და ჩერქეზულ (ად. ფაყუა, ყაბ. ფყა, უბიხ. ბაყე „ქუდი“) ენებშიც, მაგრამ აქვე, ჯერ კიდევ კარლ ბოლდას პერიოდიდან, მიუთითებდნენ მსგავსი სტრუქტურისა და შინაარსის ძირ-ფუძეთა არსებობის თაობაზე ევრაზიულ სივრცეში, შდრ. კორიაკ. penkel, ალიუტ. pankal, შულ. pakool „ქუდი“, ერთი მხრივ, და ლათინ. cappa, პოლონ. kapa, რუს. капа, ლიეტუვ. kepuree „ქუდი“; თურქული მონაცემებიდან საყურადღებოა ბალყ. Bokka „ქუდი“.

3. ქართ. ქართ-, ქართ-ა „შემოღობილი ადგილი“, {ქართ-ი} „ქალაქი“ / „თბილისი“, ქართ-ლ-ი : ზან. (მეგრ.) ქერთა / ქეთა „მჭიდროდ დასახლებული ადგილი; ქალაქი“ : სვან. ქერთ-, ი-ქერთ-ე „ღობავს“, ლი-ქერთ-ე „ღობვა“, ქართ „თბილისი“. მეგრულ-სვანური ქართ- ძირი მიუთითებს, რომ ქართულშიც ქართ-ი ქალაქს (თბილისს) აღნიშნავდა, შდრ. აფხაზ. ა-ქართ „თბილისი“. სწორედ ქართული ქართა ალომორფის ზანური შესატყვისი ქურთა (შდრ. ტოპ. ქურთა-თ-ი / ქუთა-, მკრ. ტოპ. ქუთა-ნ-ი აჭარაში) დაედო საფუძვლად ქალაქ ქუთაისის სხვადასხვა სახელებს: ქუთა-ის-ი =ლაზ. ქუთა-იშ-ი, მეგრ. ქუთა-ია (შდრ. ასევე ქართ. ქუთა-თ-ურ-ებ-ი)..., რომელთაც პარალელები აღმოაჩნდათ დაღესტნურ (ხუნძ. (ვიდ.) ქორთ „საფიხვნო, გოდევანი“, ლოდ. ქართ-ი „შემოკავებული ადგილი“, ინხ. ქუერთი „საფიხვნო, თავმეყრის ადგილი“), ნახურ (ჩეჩნ. ქაერთ, ინგ. ქართ / ქერთ „ეზო; ღობე; ზღუდე“) და სინდურ (ად. ჩათ „ფარეხი“, შაფს. ქათგ „შენობა“, ყაბ. ჩათ, ბასლ. ქათ „ბაკვი, საქონლის სადგომი“, აბაზ. ქეთ, აფხ.

ა-ქტა „სოფელი“) (ს.-სინდ. *ქთ-ა). ამასთან მეტად საგულისხმოა ოსური ენის ჩვენებაც - დიგორულში გვაქვს ქთ „ღია გარესახლი ცხვრის ფარისათვის“, ხოლო მთელს ოსურში ქართ „ეზო“.

აღწერილი სიტყვა-ფორმები აშკარად გამოხატული კულტურული ფონდიდანაა, ამიტომაც სამართლიანად მიუთითებენ ხანტურ **karta** “კარი“, უნგრულ **kert** „შემოკავებული ადგილი“, ინდოევროპულ ***ghordh**- და სხვა ენობრივ პარალელებზე (ვ. აბაევი, მ. შაგიროვი, ს. სტაროსტინი, ს. ნიკოლაევი და სხვ.).

Merab Chukhua

TSU Institute of Caucasiology

For the direction of some of the cultural term migrations

Typically, migration and borrowing of cultural terms is determined by necessity and demand. The primary and necessary condition for borrowing between languages is the contact between two or more languages (communities); Certainly, when one linguistic community comes into contact with another, individuals often encounter new objects and concepts that may not exist in their own languages and cultures. Consequently, a requirement for terms to describe these new phenomena, concepts and technologies arises. Therefore, the problem of cultural term migration seems to be relevant spanning from ancient (prehistoric) times to present day.

Over an extended period of interaction, when various communities exchange traditions and ideas, they often find it necessary to adopt unfamiliar words and terms from neighboring languages. Typically, language users opt to import and utilize foreign terms rather than inventing new ones. In linguistics, the languages from which a particular cultural word originated are referred to as the original or parent language. Yet, pinpointing the precise origin of a cultural term, along with its migration routes or directions, isn't always straightforward – particularly concerning languages and societies that are more

geographically distant. Our report will delve into several examples illustrating this phenomenon.

1. Geo. **gutan-**, **gutan-i** „plough“, „Gutani is Armenian, in Georgian it's called Erqvani...“(Saba) The word stands alone in Georgian; is at the same time confirmed in surrounding languages: Chechen. **gǔōta**, Ingush. **gǔota**, Avar **kután**, Darg. **gutan** / **γutan** / **k:utan**, Aghul. **kutan**, Arch., Bud. **kutan**, Tab. **kutan**, Krits. **katan**, Lezg. **küten**, Aphkh. a-**kwatá(n)a**, Abaz. **kwatan**, Os. **gūton** / **goton**, Arm. **gutan**, Azer. **kotan** „plough“ and others.

2. Svan. **paǫw** “hat/qudi” seems Georgian. (Imeretian) **paǫw-e** “lose, large clothes” and Zan. (Megrelian) **pu’-e** “larger than lose clothes” allomorphs are compatible. We come across Isoglosses in related Daghestan (Akhv. (south) **ǫapa**, Botl. **ǫaba-λa**, Kar. **ǫwapa/ǫapa**, Tind. **ǫwapa** “hat/qudi”, Bej. **Ba’i** “hat/qudi”, Darg. **ǫaǫa** / akhush., Chir. **ǫapa** “hat/qudi”, Lezg. **ǫepe** “hat/qudi”, Tsakh. **ǫapa** “night hat/Qudi”, Shdr. Krits. **bākā** “tall hat/qudi”) and Cherkez (Ad. **pa’a**, Kab. **pə’a**, Ubikh. **baǫe** “hat/qudi”) languages, nonetheless, as early as from the period of Carl Bodha the presence of similar structural and substantive foundations in the Eurasian region have been indicated, Shdr. Koriak. **penkel**, Aliut. **pankal**, Shugh. **pakool** “hat/qudi” on one hand and Latin **cappa**, Pol. **kapa**, Rus. **kana**, Lietuv. **kepuree** „hat/qudi“, in Turkish sources Balkh. **bokka** „hat/qudi“ is noteworthy.

3. Geo. **karta-**, **kart-a** „enclosed area“ {**kart-i**} „qalaqi“ (city)/ “Tbilisi“, **kartl-i** : Zan. (Megrelian) **korta** / **kota** „densely populated area; city“: Svan. **kort-**, **-kort-e** „encloses“, li-**kort-e** “enclosing“ **kärt** „Tbilisi“. Svan-Megrelian **kart-** root indicates, that **kart-i** means city (Tbilisi) also in Georgian cf. Apkhaz. a-**Kart** “Tbisili”. It was the Zan equivalent of the allomorph of Georgian Qarta, Qurta (cf. Top. **kurta-t-i** / **kuta-**, Mkr. Top. **Kuta-n-i** in Adjara) formed the basis of the various names of the city of Kutaisi: Geo **Kuta-is-i** =Laz. **Kuta-** iš-i, Megrelian **Kuta-ia** (cf. also in Georgian **Kuta-t-ur-eb-i**)..., which happened to have parallels with Daghestan (Avar. (Hid.) **kort** “godekan” (gathering place for men), godekani”, Ghod. **kart-i** “enclosed space”, Inkh. **kwert-i** “sapikhvno,

gathering place”), Nakh. (Chechen. **kjert**, ონგ. **qiert**, Ingush. **kart** / **kert** “yard, fence; barrier”) and Sindic (Ad. **Āt** “garage”, Shaps. **kāt** “building”, Kab. **Āt**, Basl. **kāt**, “livestock stand, barn”, Abaz. **kət**, Apkhaz. **a-kōta** “village”; (C.-Sind. ***kāt-a**). Furthermore, the representation of the Ossetian language holds considerable importance. In Digor, we encounter the term **kāt** „open house for lamb“ while in Ossetian as a whole, the term used is **kärt** "yard."

The word-forms described clearly stem from defined cultural roots, as evidenced by their association with Khanty **karta** meaning "door," Hungarian **kert** meaning "restricted place," Indo-European ***ghordh-**, and various linguistic parallels identified by scholars such as V. Abaev, M. Shagirov, S. Starostin, S. Nikolaev, and others.

გიორგი ჭიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ორი სახელის მქონე ადგილები: ორენოვანი ქართულ- თურქული ტოპონიმია თურქეთის ართვინის პროვინციაში

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გამოარჩევს თურქეთის ართვინის პროვინციის პატარა რაიონს, ბორჩხას, არის მისი ორენოვანი ტოპონიმია. ბორჩხა მდებარეობს თურქეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში და ძირითადად დასახლებულია თურქეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველებით. ქართულენოვანი მოსახლეობის არსებობა აქ უკავშირდება არა ადგილობრივთა მიერ საზღვრის კვეთას და ერთი სახელმწიფოდან მეორეში მიგრაციას, არამედ თვითონ საზღვრის მიერ ადგილის ცვლილებას, რამაც მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოიწვია ადგილობრივი თემების გახლეჩა გამყოფი ხაზით. ართვინის ტურბუ-

ლენტური ისტორია და ცვალებადი პოლიტიკური კონტექსტი აისახა ადგილობრივ ტოპონიმიკაზეც. აქ ყველა ადგილს, იქნება ეს სოფლები, უბნები (მაჰალლე), თუ ქალაქის ტიპის დასახლებები, აქვს ორი სახელი. ბორჩხის ოფიციალური ტოპონიმიკა (ადიარებული სახელმწიფოს მიერ, ტოპონიმიკა რომლებსაც შეხვდებით რუკებსა და გზის მაჩვენებლებზე) თურქულია, არაოფიციალური კი – ქართული (ან ლაზური). ეს ბილინგვიზმი შედეგია პერიოდისა, როცა თურქეთის ერი-სახელმწიფო ყალიბდებოდა ოსმალეთის დაშლილი იმპერიის ნანგრევებზე და პოსტ-ოსმალური დეზინტეგრირებული საზოგადოება ფორმირდებოდა ამ ახალი ერი-სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოებად. ამ პერიოდის უამრავი რეფორმიდან (რომლებიც მიზნად ისახავდა ეროვნულობის პროექტის დაჩქარებასა და ხელშეწყობას), ერთ-ერთი იყო ტოპონიმების ცვლილების რეფორმა. მისი იმპლემენტაცია მოხდა თურქეთის მთლიან ტერიტორიაზე და მიზნად ისახავდა არსებული არათურქული ან ლინგვისტურად თურქული, მაგრამ გამოხატულად ოსმალური ტოპონიმების სრულიად ჩანაცვლებას ახალი თურქული სახელებით. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ახალმა ტოპონიმიკამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ართვინში, ეს ძველი სახელების გაქრობის ხარჯზე არ მომხდარა. პირიქით, მათ მიენიჭათ ახალი სოციალური ფუნქცია. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს, გააანალიზოს კონტექსტი, რომელშიც ბილინგვური ტოპონიმიკა, ხალხის მიერ კონტექსტუალური არჩევანი კონკრეტული რიგის (ოფიციალური/არაოფიციალური, ძველი/ახალი) ტოპონიმის გამოყენებისა, განსაკუთრებით, „სამეზობლო პრაქტიკაში“ (Mills 2010), ხდება ინდივიდის მიერ, ერთი მხრივ, ლოკალური ადგილის, სამეზობლოს, მეორე მხრივ კი სახელმწიფოსა და მისი „წარმოსახვითი საზოგადოებისადმი“ (Anderson 2006) (ერი) მიკუთვნებულობის გამოხატვის აქტი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაოფიციალური ტოპონიმიკის გამოყენება აკნინებს ოფიციალური ტოპონიმიკის ლეგიტიმაციას. პირიქით, მაშინ, როდესაც არაოფიციალური ადგილის სახელები გამოიყენება ვიწრო, ადგილობრივ კონტექსტში და

გამოხატავს ლოკალურ კუთვნილებას, ახალი სახელები გამოიყენება სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და გამოხატავს პიროვნების სიახლოვესა და კუთვნილებას სახელმწიფოსა და ერისადმი.

Giorgi Cheishvili

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Places with Two Names: Bilingual Place Names in the Artvin Province of Turkey

One particularity of most places in the Borçka district of the Artvin province of Turkey, is the local bilingual toponymy. Located at the border with Georgia, in the extreme northeastern edge of Turkey, Borçka is populated mainly by ethnic Georgian citizens of Turkey. The presence of the Georgians on Turkish soil is not a result of the movement of people across borders, but rather the movement of borders themselves, which bisected local communities at the beginning of the 20th century. The turbulent history and changing political context of Artvin has left its imprint on the place names in the region. As a result of this tempestuous past, many places, be it villages, neighborhoods (*mahalles*) or mountains in Borçka have two different names. Official toponymy (the one recognized by the state) is Turkish; unofficial place names are Georgian (or Laz). This bilingualism is the result of the early republican period, when Turkey was being formed as a new nation-state after the fall of the Ottoman Empire and transforming the disintegrated and eclectic post-Ottoman society into a modern nation. One of the numerous reforms directed at accelerating the nation-building process was the place-name reform. It was implemented throughout Turkey and intended to eradicate the non-Turkish sounding (or linguistically Turkish, but semantically Ottoman) place names and substitute them with Turkish ones. As a result, although the new toponymy did gain its importance in Artvin, the old ones have never been forgotten. Instead,

they acquired a distinct social function. This paper explores the ways in which bilingual place-naming in local “neighboring practices” (Mills 2010) becomes a meaningful act of communicating one’s belonging to the *mahalle* both as a physical and socio-cultural space, but at the same time to the state and its (imagined) community — the nation. Despite this, the use of the unofficial place names does not challenge the legitimacy of the official ones. Instead, while the unofficial names are for narrow, communal use only and articulate belonging to, and familiarity with the local places, the “new” names are used in interaction with the state and demonstrate one’s familiarity and belonging with the nation.

ნათია ჯალაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

აკულტურაცია და კულტურის კოდების გადართვა მულტიეთნიკურ საზოგადოებაში

დღევანდელი საქართველოს ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შედეგია. ახალ კულტურულ გარემოში მოხვედრილი მიგრანტები აკულტურაციის პროცესში მრავალ წინააღმდეგობასა და პრობლემას აწყდებიან (ენის ბარიერი, უცხო ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, განსხვავებული ღირებულებითი ორიენტაციები, სოციალური ქცევის ნორმები და სხვ.). მიმღები სახელმწიფოსთვის და მისი უსაფრთხოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ წარიმართება არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფთა აკულტურაციის პროცესი, როგორი იქნება მათი სტრატეგია (ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია) და რა პერსპექტივა ექნება მიგრირებული

ჯგუფის არსებობას ქვეყანაში. საქართველოში სხვადასხვა პერიოდში მიგრირებულ განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფთა აკულტურაციის სტრატეგია ცალსახა არ ყოფილა. ზოგიერთმა არაქართულმა ჯგუფმა სეპარაცია ირჩია (მაგ. ბოშები), ზომა მარგინალიზაცია (ჩეჩენი ლტოლვილების შემთხვევაში), ზოგმა კი სრული ასიმილაცია (რუსი კაზაკები); თუმცა აკულტურაციის პროცესი ქვეყანაში ძირითადად ინტეგრაციის მიმართულებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, ეთნიკური ჯგუფის მიერ კულტურული იდენტობის შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, უცხო კულტურულ კონტექსტებში ჩართვას.

მოხსენებაში, ქვემო ქართლის მულტიკულტურული საზოგადოების მაგალითზე, განხილულია ეთნიკურ უმცირესობათა აკულტურაციის თავისებურებანი და ეთნიკურ ჯგუფთა კულტურული კოდების გადართვა (კროს-კულტურული კოდური გადართვა) მათი ინტეგრაციის პროცესში. კროს-კულტურული კოდური გადართვა ინტერკულტურული კომუნიკაციის ერთ-ერთი თანმხლები კომპონენტია; ის გულისხმობს ერთი კულტურის წარმომადგენლის მიერ სხვა კულტურაში დამკვიდრებული ტრადიციების, ქცევის ნორმების და სხვ., მიზანმიმართულ, დროებით გაზიარებას უცხო კულტურულ გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით. ქვემო ქართლის მულტიეთნიკურ საზოგადოებაში, სადაც განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის მეტ-ნაკლები ინტენსივობის კომუნიკაცია მიმდინარეობს, ბუნებრივად წარმოიქმნება კროს-კულტურულ კოდთა გადართვის აუცილებლობა. საკვლევ რეგიონში კულტურის კოდთა გადართვას აქვს, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ხასიათი.

კულტურული კოდების გადართვას უმეტესად დომინანტურ კულტურასთან ინტეგრაციის ტენდენცია გააჩნია. ანუ, ინდივიდი ან ჯგუფი მანიპულირებს იმ კულტურის კოდებით, რომელთანაც ის ადაპტირდება. ზოგადად, არადომინანტი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი გადაერთვება დომინანტი ეთნოსის კულტურის მახასიათებელ ნიშნებზე. ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი უფრო ხშირად გადაერ-

თვება ქართულ კულტურულ კოდზე, ვიდრე ქართველი – აზერბაიჯანულზე; თუმცა, საპირისპირო შემთხვევებსაც აქვს ადგილი, განსაკუთრებით ისეთ დასახლებებში, სადაც ქართველები უმცირესობაში არიან.

კროს-კულტურული კოდური გადართვა აღინიშნება, როგორც მატერიალური (საკვები), ასევე სულიერი კულტურის (რელიგია) და ტრადიციული ქცევის მიმართულებით (ნათლობა). მაგალითად, განსხვავებული კულტურული ჯგუფები ერთმანეთის ტრადიციული კერძების დამზადებას სწავლობენ და შემდეგ თავიანთ მენიუმში შეაქვთ; ასეთივეა ქართველთა გარემოცვაში მოხვედრილი მუსლიმანის მიერ თავისი რელიგიური ნორმების უგულებელყოფა (ალკოჰოლური სასმელების მიღება, ღორის ხორცის ჭამა), სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებს შორის ნათლობა, ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა, სადაც ინდივიდები ან ჯგუფები ჩართულები არიან ერთმანეთის რელიგიურ პრაქტიკაში და სხვ.

მულტიეთნიკურ საზოგადოებაში კულტურის კოდთა გადართვა ხელს უწყობს სოციალური ურთიერთობების, ინტერპიროვნული და ინტერჯგუფური კონტაქტების ზრდას, ერთობლივ ღონისძიებათა გახშირებას, ინტერჯგუფური დაპირისპირებისა და კონფლიქტების შემცირებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციისთვის მყარ საფუძველს ქმნის.

Natia Jalabadze

TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Acculturation and Culture Code-Switching in a Multiethnic Society

The contemporary ethnic and cultural diversity observed in Georgia is a product of migratory movements across various historical epochs in the country. Migrants encountering novel cultural landscapes face myriad obstacles and challenges during the acculturation process (linguistic barriers, unfamiliar traditions, distinct value systems, differing norms of social behaviour, etc.). How acculturation unfolds for non-dominant ethnic groups, along with their chosen strategies (integration, assimilation, separation, or marginalization), and what prospect of existence this group will have within the country, holds significant importance for the host state and its security. The acculturation strategies adopted by diverse ethnic groups that migrated to Georgia have been multifaceted and varied over time. Certain groups, such as the Gypsies, have pursued a path of separation, while others, like Chechen refugees, have experienced marginalization. Conversely, the Russian Cossacks, have undergone complete assimilation. However, the process of acculturation in the country primarily trends towards integration. This implies, on one hand, the preservation of the cultural identity of the ethnic group, and on the other hand, their inclusion into foreign cultural contexts.

Using the example of the multicultural society of Kvemo Kartli, the report delves into the nuances of the acculturation of ethnic minorities and the phenomenon of cross-cultural code-switching among ethnic groups during their integration process. Cross-cultural code-switching is a fundamental aspect of intercultural communication; "this refers to the intentional, temporary adoption of traditions, norms of behaviour, etc., by an individual from one culture established in a foreign culture, aimed at integrating into the foreign cultural milieu. Within the multi-ethnic landscape of Kvemo Kartli, characterized by

varying degrees of interaction among representatives of different cultures, the necessity for culture code-switching naturally emerges. The practice of code-switching in the region under examination manifests both at the individual and group levels.

Code-switching typically occurs towards the dominant culture, where an individual or group manipulates the codes of the culture to which he adapts. Generally, members of a non-dominant ethnic group adopt characteristics of the culture of the dominant ethnic group. For example, an Azerbaijani residing in Georgia is more likely to switch to the Georgian cultural code than vice versa. However, instances of the reverse can also happen, particularly in areas where Georgians constitute a minority.

Code-switching encompasses both material aspects (food) and spiritual facets (religion), as well as traditional behaviours (baptism). For instance, individuals from different cultural backgrounds may learn to prepare each other's traditional dishes and incorporate them into their culinary practices. Similarly, in communities where Muslims coexist with Georgians, there may be a departure from religious norms (such as consuming alcoholic beverages or pork). Additionally, cross-cultural interactions may involve participation in each other's religious holidays, engagement in various religious practices etc.

The process of culture code-switching accordingly fosters the development of social relationships, interpersonal connections, and intergroup interactions, increasing the number of joint activities, and thereby reducing intergroup tensions and conflicts. This, in turn, establishes a robust foundation for civil integration.

საერთაშორისო კონფერენცია
მიგრაცია, ენა და კულტურული მემკვიდრეობის დინამიკა

International Conference
MIGRATION, LANGUAGE AND DYNAMICS OF CULTURAL MEMORY

საერთაშორისო კონფერენცია
მიგრაცია, ენა და კულტურული მემკვიდრეობის დინამიკა

International Conference
MIGRATION, LANGUAGE AND DYNAMICS OF CULTURAL MEMORY
